

# სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2025 წლის 31 დეკემბერს

**შინაარსი:**

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა..... 3

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება**

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება ..... 6  
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება ..... 7  
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება ..... 8  
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება ..... 9

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

1. ზოგადი ინფორმაცია ..... 10  
2. მომზადების საფუძველი ..... 10  
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა..... 13  
4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები ..... 19  
5. რისკების მართვა..... 21  
6. სადაზღვევო ამონაგები..... 28  
7. სადაზღვევო მომსახურების ხარჯი..... 29  
8. გადაზღვევის ხელშეკრულებიდან მიღებული შედეგი..... 29  
9. სხვა საოპერაციო ხარჯები..... 29  
10. წმინდა საპროცენტო შემოსავალი ..... 29  
11. ფული და ფულის ეკვივალენტები..... 30  
12. საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები..... 30  
13. სხვა მოთხოვნები ..... 30  
14. ძირითადი საშუალებები ..... 31  
15. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები ..... 32  
16. სადაზღვევო ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულებები ..... 34  
17. გადაზღვევის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი აქტივები და ვალდებულებები..... 36  
18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები ..... 37  
19. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან ..... 37  
20. პირობითი და სახელშეკრულებო ვალდებულებები..... 38  
21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები ..... 39  
კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ..... 40

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“ ჯგუფის აქციონერებს და ხელმძღვანელობას

### მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს „სადაზღვევო კომპანია ალფას“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2025 წლის 31 დეკემბრისთვის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის, 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებულ ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, აგრეთვე, მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

### მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსისა (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ყველა სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმენლად.

### მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აზრები

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების 1-ელ შენიშვნაზე, რომელიც აღწერს, რომ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ჯგუფი ვალდებულია მოამზადოს კომპანიის ინდივიდუალური ანგარიშგება და წარადგინოს მარეგულირებელ ორგანოში. ჯგუფის შვილობილი საწარმოს შპს „ალფა“-ს 2025 და 2024 წლის განმავლობაში არ განუხორციელებია არსებითი ოპერაციები და საანგარიშგებო წლის ბოლოს არ ფლობდა არსებით აქტივებსა და ვალდებულებებს. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფის 2025 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არსებითად არ განსხვავდება სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“-ს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისგან და შესაბამისად, კონსოლიდირებული ანგარიშგება გამოხატავს კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას. ამ საკითხთან მიმართებაში ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული.

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა #20-ზე, რომელიც აღწერს, რომ 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის კანონმდებლობით დაწესებული მინიმალური კაპიტალის ოდენობის გაანგარიშებისთვის ჯგუფის მიერ გამოყენებულია ძირითადად ფასს 4 და, შესაბამისად, აღნიშნული პრინციპით კაპიტალის ადეკვატურობა დაცულია. თუმცა, თუკი კაპიტალი გაანგარიშებული იქნებოდა ფასს 17-ის შესაბამისად, ჯგუფი ვერ დააკმაყოფილებდა კანონმდებლობით დაწესებული მინიმალური კაპიტალის ოდენობის მოთხოვნას (7,200 ათასი ლარი). საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის დარღვევისთვის ჯარიმა შეადგენს 50 ათას ლარს. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული ამ საკითხთან მიმართებაში.

### სხვა გარემოებები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც აღნიშნულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2025 წლის 28 მარტს გასცა არამოდიფიცირებული მოსაზრება.

## **დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა (გაგრძელება)**

### **სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა**

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობით ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი ვალდებულებაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი თანდართული მმართველობის ანგარიშის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობაზე და, ასევე, მოიცავს თუ არა იგი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ჩვენი აუდიტის მიმდინარეობისას ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით:

- მმართველობით ანგარიშში მოცემული ინფორმაცია იმ ფინანსური წლის შესახებ, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას;
- მმართველობით ანგარიშში მოცემული ინფორმაცია შეესაბამება "საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს.

### **მენეჯმენტისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტს ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

### **აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას, მათ შორის, გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით, და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით ნებისმიერ უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა, თუკი გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალკე ან ერთობლივად გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების გამოყენების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

**დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა (გაგრძელება)**

**აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე (გაგრძელება)**

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტის პროცესში აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანსაზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- შევისწავლით აუდიტისათვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს მენეჯმენტის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების განახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას, მის შინაარსს და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს. ამასთან ვაფასებთ, ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციები და მოვლენები უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბის, ვადებისა და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

**მიხეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი**

ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

თარიღი: 16 აპრილი, 2026

თბილისი, საქართველო



სს “სადაზღვევო კომპანია ალფა” ჯგუფი

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2025	2024
სადაზღვევო ამონაგები	6	24,461	24,144
სადაზღვევო მომსახურების ხარჯი	7	(22,025)	(17,794)
გადაზღვევის ხელშეკრულებიდან მიღებული შედეგი	8	(639)	(1,703)
<b>სადაზღვევო მომსახურებიდან მიღებული შედეგი</b>		<b>1,797</b>	<b>4,647</b>
სხვა საოპერაციო ხარჯები	9	(5,131)	(4,745)
სხვა შემოსავალი	20	-	1,771
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	10	1,560	1,632
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი		(123)	-
<b>წმინდა მოგება/(ზარალი)</b>		<b>(1,897)</b>	<b>3,305</b>
სხვა სრული შემოსავალი		-	-
<b>სრული შემოსავალი/(ზარალი)</b>		<b>(1,897)</b>	<b>3,305</b>

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2026 წლის 16 აპრილს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

\_\_\_\_\_

დიმიტრი გონგლაძე

ფინანსური დირექტორი

\_\_\_\_\_

ნიკოლოზ ჯმუხაძე

11-39 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს “სადაზღვევო კომპანია ალფა” ჯგუფი

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2025	2024
სადაზღვევო ამონაგები	6	24,461	24,144
სადაზღვევო მომსახურების ხარჯი	7	(22,025)	(17,794)
გადაზღვევის ხელშეკრულებიდან მიღებული შედეგი	8	(639)	(1,703)
სადაზღვევო მომსახურებიდან მიღებული შედეგი		<u>1,797</u>	<u>4,647</u>
სხვა საოპერაციო ხარჯები	9	(5,131)	(4,745)
სხვა შემოსავალი	20	-	1,771
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	10	1,560	1,632
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი		(123)	-
წმინდა მოგება/(ზარალი)		<u>(1,897)</u>	<u>3,305</u>
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული შემოსავალი/(ზარალი)		<u>(1,897)</u>	<u>3,305</u>

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2026 წლის 16 აპრილს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი



დიმიტრი გონგლაძე

ფინანსური დირექტორი



ნიკოლოზ ჯმუხაძე

11-39 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს “სადაზღვევო კომპანია ალფა” ჯგუფი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2025	2024
<b>აქტივები</b>			
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	2,847	2,453
საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები	12	10,233	10,021
სხვა მოთხოვნები	13	637	720
მარაგები		224	111
ძირითადი საშუალებები	14	564	554
აქტივების გამოყენების უფლება	15	537	177
არამატერიალური აქტივები		119	-
<b>სულ აქტივები</b>		<b>15,161</b>	<b>14,036</b>
<b>კაპიტალი</b>			
სააქციო კაპიტალი	1	28,300	28,300
დაგროვილი ზარალი		(21,798)	(19,901)
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>6,502</b>	<b>8,399</b>
<b>ვალდებულებები</b>			
სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	16	5,617	4,180
გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	17	1,196	232
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18	1,318	1,026
საიჯარო ვალდებულებები	15	528	199
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>8,659</b>	<b>5,637</b>
<b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>		<b>15,161</b>	<b>14,036</b>

11-39 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს “სადაზღვევო კომპანია ალფა” ჯგუფი  
 ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება  
 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 (ათას ლარში)

	შენიშვნა	2025	2024
<b>აქტივები</b>			
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	2,847	2,453
საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები	12	10,233	10,021
სხვა მოთხოვნები	13	637	720
მარაგები		224	111
ძირითადი საშუალებები	14	564	554
აქტივების გამოყენების უფლება	15	537	177
არამატერიალური აქტივები		119	-
<b>სულ აქტივები</b>		<b>15,161</b>	<b>14,036</b>
<b>კაპიტალი</b>			
სააქციო კაპიტალი	1	28,300	28,300
დაგროვილი ზარალი		(21,798)	(19,901)
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>6,502</b>	<b>8,399</b>
<b>ვალდებულებები</b>			
სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	16	5,617	4,180
გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	17	1,196	232
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18	1,318	1,026
საიჯარო ვალდებულებები	15	528	199
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>8,659</b>	<b>5,637</b>
<b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>		<b>15,161</b>	<b>14,036</b>

სს “სადაზღვევო კომპანია ალფა” ჯგუფი

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
<b>31.12.2023</b>	1	<b>28,300</b>	<b>(23,206)</b>	<b>5,094</b>
სრული შემოსავალი		-	3,305	3,305
<b>31.12.2024</b>	1	<b>28,300</b>	<b>(19,901)</b>	<b>8,399</b>
სრული ზარალი		-	(1,897)	(1,897)
<b>31.12.2025</b>	1	<b>28,300</b>	<b>(21,798)</b>	<b>6,502</b>

11-39 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს "სადაზღვევო კომპანია ალფა" ჯგუფი

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
31.12.2023	1	28,300	(23,206)	5,094
სრული შემოსავალი		-	3,305	3,305
31.12.2024	1	28,300	(19,901)	8,399
სრული ზარალი		-	(1,897)	(1,897)
31.12.2025	1	28,300	(21,798)	6,502

11-39 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს “სადაზღვევო კომპანია ალფა” ჯგუფი

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	<b>2025</b>	<b>2024</b>
<b>ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან</b>		
მიღებული სადაზღვევო პრემია	23,779	23,183
გადახდილი ზარალები კაპიტაციის ჩათვლით	(17,291)	(16,388)
გადახდილი გადაზღვევის პრემია	(467)	(865)
გადაზღვევიდან მიღებული თანხები	109	691
რეგრესიდან და გადარჩენილი ქონების რეალიზაციიდან მიღებული თანხები	1,658	892
გადახდილი პოლისების მოზიდვის ხარჯი	(1,879)	(1,504)
გადახდილი ხელფასები და სხვა განაცემები	(3,779)	(3,515)
გადახდილი გადასახადები	(1,379)	(1,236)
გადახდილი სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(1,311)	(1,579)
მიღებული პროცენტი	1,585	632
დეპოზიტზე თანხის წმინდა მოძრაობა	(200)	(7,200)
	<b>825</b>	<b>(6,889)</b>
გადახდილი პროცენტი	(37)	(30)
	<b>788</b>	<b>(6,919)</b>
<b>ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან</b>		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(88)	(35)
ძირითადი საშუალებების გასვლა	15	4
არამატერიალური აქტივების შეძენა	(119)	-
	<b>(192)</b>	<b>(31)</b>
<b>ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან</b>		
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(202)	(177)
	<b>(202)</b>	<b>(177)</b>
<b>წმინდა ცვლილება ფულად სახსრებში და მათ ეკვივალენტებში</b>	<b>394</b>	<b>(7,127)</b>
<b>ფულადი სახსრები და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში</b>	<b>2,453</b>	<b>9,580</b>
<b>ფულადი სახსრები და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს</b>	<b>2,847</b>	<b>2,453</b>

11-39 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს "სადაზღვევო კომპანია ალფა" ჯგუფი  
 ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება  
 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
 (ათას ლარში)

	<u>2025</u>	<u>2024</u>
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებული სადაზღვევო პრემია	23,779	23,183
გადახდილი ზარალები კაპიტაციის ჩათვლით	(17,291)	(16,388)
გადახდილი გადაზღვევის პრემია	(467)	(865)
გადაზღვევიდან მიღებული თანხები	109	691
რეგრესიდან და გადარჩენილი ქონების რეალიზაციიდან მიღებული თანხები	1,658	892
გადახდილი პოლისების მოზიდვის ხარჯი	(1,879)	(1,504)
გადახდილი ხელფასები და სხვა განაცემები	(3,779)	(3,515)
გადახდილი გადასახადები	(1,379)	(1,236)
გადახდილი სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(1,311)	(1,579)
მიღებული პროცენტი	1,585	632
დეპოზიტზე თანხის წმინდა მოძრაობა	(200)	(7,200)
	<u>825</u>	<u>(6,889)</u>
გადახდილი პროცენტი	(37)	(30)
	<u>788</u>	<u>(6,919)</u>
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(88)	(35)
ძირითადი საშუალებების გასვლა	15	4
არამატერიალური აქტივების შეძენა	(119)	-
	<u>(192)</u>	<u>(31)</u>
ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან		
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(202)	(177)
	<u>(202)</u>	<u>(177)</u>
წმინდა ცვლილება ფულად სახსრებში და მათ ეკვივალენტებში	<u>394</u>	<u>(7,127)</u>
ფულადი სახსრები და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	<u>2,453</u>	<u>9,580</u>
ფულადი სახსრები და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	<u>2,847</u>	<u>2,453</u>

11-39 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

## კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

### 1. ზოგადი ინფორმაცია

სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“ ჯგუფი (შემდგომში „ჯგუფი“) დაარსდა 2009 წელს. ჯგუფი ფლობს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემულ არასიცოცხლის და სიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიას. ჯგუფი მომხმარებელს სთავაზობს არასიცოცხლის დაზღვევის სხვადასხვა პაკეტს, როგორც კორპორატიული, ასევე ფიზიკური პირებისთვის: სამედიცინო დაზღვევა, ქონების დაზღვევა, ავტოდაზღვევა, სამოგზაურო დაზღვევა, ტვირთის დაზღვევა, პასუხისმგებლობის დაზღვევა, და ა.შ.

ჯგუფის მთავარი ოფისი მდებარეობს თბილისში. ჯგუფის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკე საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგის ქ. 16. 2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის 100%-იანი წილის მფლობელია შპს „ავერსი-ფარმა“, რომელსაც 67%-იანი და 33%-იანი წილებით აკონტროლებენ პაატა კურტანიძე და ნიკოლოზ კურტანიძე. სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“ წარმოადგენს ჯგუფის მშობელ კომპანიას და ფინანსურ ანგარიშგებაში იკონსოლიდირებს 100%-იან შვილობილ საწარმოს - შპს „ალფას“, რომელიც წარმოადგენს უმოქმედოს.

2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოშვებული და სრულად ანაზღაურებული აქციების რაოდენობა შეადგენს 34,396,000 ცალს, ნომინალური ღირებულებით 0.82 ლარი ერთ აქციაზე. აქციების რაოდენობა შეესაბამება ხმის უფლების რაოდენობას.

### ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ჯგუფი ვალდებულია მოამზადოს კომპანიის ინდივიდუალური ანგარიშგება და წარადგინოს მარეგულირებელ ორგანოში. ჯგუფის შვილობილ კომპანია შპს „ალფა“-ს 2025 და 2024 წლის განმავლობაში არ განუხორციელებია არსებითი ოპერაციები და საანგარიშგებო წლის ბოლოს არ ფლობდა არსებით აქტივებსა და ვალდებულებებს. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფის 2025 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არსებითად არ განსხვავდება სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“-ს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისგან და შესაბამისად, კონსოლიდირებული ანგარიშგება გამოხატავს კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას.

### 2. მომზადების საფუძველი

#### ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ჯგუფი იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ჯგუფი იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

#### შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. მონაცემები დამრგვალებულია ათას ლარამდე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

**2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)**

**ფუნქციონირებადი საწარმო**

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ, განავითარონ ჯგუფი საქართველოში. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ჯგუფის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვეველობა მისი მიზნების მისაღწევად. ხელმძღვანელობამ მოამზადა ჯგუფის ფინანსური პროგნოზი ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან 12 თვის განმავლობაში, რომელშიც გაითვალისწინა მოვლენათა უარყოფითი განვითარების შესაძლო სცენარები, რომელიც გულისხმობდა უარყოფითი გავლენის ისეთი დონის გამოკვლევას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფის ფუნქციონირების შეწყვეტა. ხელმძღვანელობის ფინანსური პროგნოზის მიხედვით ჯგუფი შეძლებს საოპერაციო ფულადი ნაკადებით ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხების სრულად გადახდას, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან 12 თვის განმავლობაში.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საჭიროების შემთხვევაში შეძლებს დაფინანსების მიღებას მშობელი საწარმოდან და აღნიშნული არ წარმოადგენს მნიშვნელოვან განუსაზღვრელობას. ამის საფუძველზე, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, დაკავშირებული არ არის არსებით განუსაზღვრელობასთან.

**ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები**

**სტანდარტები და ცვლილებები, რომლებიც პირველად ამოქმედდა 2025 წლის განმავლობაში**

**ბასს 21-ის ცვლილებები – გაცვლადობის არარსებობა**

ცვლილებები ადგენს მოთხოვნებს იმ შემთხვევების იდენტიფიცირებისთვის, როდესაც ვალუტა არ არის გაცვლადი სხვა ვალუტაზე კონკრეტული შეფასების თარიღისთვის. იმ შემთხვევაში, როდესაც ვალუტა არ არის გაცვლადი, საწარმო ვალდებულია დაადგინოს სპოტ-სავალუტო კურსი შეფასების მეთოდის გამოყენებით. აღნიშნული ცვლილებების მიღებას ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია.

**გამოშვებული სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები რომლებიც არ არის ამოქმედებული**

ქვემოთ წარმოდგენილია ის სტანდარტები და ცვლილებები, რომლებიც გამოშვებულია, თუმცა 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯერ არ არის ამოქმედებული და ჯგუფს ნაადრევად არ მიუღია.

**ძალაში შესვლა წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2026 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ**

ფასს 9-ისა და ფასს 7-ის ცვლილებები – ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია და შეფასება. ცვლილებები ითვალისწინებს:

- გარკვეული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებისა და ჩამოწერის დროის დაზუსტებას, მათ შორის გამონაკლის ზოგიერთი ფინანსური ვალდებულებისთვის, რომელიც იფარება ელექტრონული ფულადი გადარიცხვის სისტემის მეშვეობით;
- დამატებით განმარტებებსა და მითითებებს ფინანსური აქტივების შეფასებისთვის მხოლოდ ძირისა და პროცენტის გადახდების კრიტერიუმის (SPPI) შესაბამისად;
- ახალ გამყდავენების მოთხოვნებს იმ ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომელთა სახელშეკრულებო პირობები შეიძლება იწვევდეს ფულადი ნაკადების ცვლილებას; და
- ცვლილებებს სამართლიან ღირებულებაზე სხვა ყოვლისმომცველ შემოსავალში კლასიფიცირებული კაპიტალის ინსტრუმენტების გამყდავენებაში.

**ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესებები – ტომი 11**

წლიური გაუმჯობესებები მოიცავს მცირე მასშტაბის ცვლილებებს, რომლებიც მიზნად ისახავს ფასს სტანდარტებში არსებული ტექსტის დაზუსტებას ან შედარებით უმნიშვნელო შეუსაბამობების, შეცდომებისა და წინააღმდეგობების გამოსწორებას. ცვლილებები შეეხება ფასს 1-ს, ფასს 7-ს, ფასს 9-ს, ფასს 10-ს და ბასს 7-ს.

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

---

**2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)**

**ფასს 9-ისა და ფასს 7-ის ცვლილებები – ბუნებაზე დამოკიდებული ელექტროენერჯის კონტრაქტები**

ცვლილებები აზუსტებს „საკუთარი გამოყენების“ მოთხოვნების გამოყენებას, ნებადართულს ხდის ჰეჯირების აღრიცხვას შესაბამის შემთხვევებში და შემოაქვს მიზნობრივი გამჟღავნების მოთხოვნები. ცვლილებები ვრცელდება იმ კონტრაქტებზე, რომლებიც საწარმოს აყენებს ელექტროენერჯის ფასის ცვალებადობის რისკის წინაშე ბუნებრივი, კონტროლს მიღმა არსებული ფაქტორების გამო.

ჯგუფი ამჟამად აფასებს აღნიშნული ცვლილებების შესაძლო გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**ძალაში შესვლა წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2027 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ**

**ბასს 21-ის ცვლილებები – ჰიპერინფლაციური პრეზენტაციის ვალუტაში წარდგენა**

ცვლილებები ადგენს ფინანსური ანგარიშგების წარდგენის წესებს იმ შემთხვევებში, როდესაც საწარმოს პრეზენტაციის ვალუტა ჰიპერინფლაციური ეკონომიკის ვალუტაა, ხოლო ფუნქციური ვალუტა არა. ცვლილებების მიზანია ინფორმაციის სარგებლიანობის გაუმჯობესება და პრაქტიკაში არსებული განსხვავებების შემცირება.

**ფასს 18 – ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენა და გამჟღავნება**

ფასს 18 შემოაქვს ახალი მოთხოვნები ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენისა და ინფორმაციის გამჟღავნების მიმართულებით, მათ შორის:

- მოგება-ზარალის ანგარიშის განახლებული სტრუქტურა და სავალდებულო შუალედური ჯამები;
- ინფორმაციის აგრეგაციისა და დეზაგრეგაციის გამლიერებული პრინციპები; და
- მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული შესრულების მაჩვენებლების გამჟღავნების მოთხოვნები.

ჯგუფი გეგმავს ფასს 18-ის მიღებას მისი ძალაში შესვლის თარიღიდან. ამ ეტაპზე ჯგუფი აფასებს სტანდარტის გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე და აღნიშნული გავლენა ჯერ არ არის განსაზღვრული.

**ფასს 19 – შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: გამჟღავნება**

ფასს 19 უფლებას აძლევს უფლებამოსილ შვილობილ კომპანიებს გამოიყენონ ფასს სტანდარტები შემცირებული გამჟღავნების მოთხოვნებით, აღიარების, შეფასებისა და წარმოდგენის პრინციპების უცვლელად შენარჩუნებით. სტანდარტის გამოყენება ნებაყოფლობითია შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

**ფასს 19-ის ცვლილებები – შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: გამჟღავნება**

ცვლილებები ამცირებს გამჟღავნების მოთხოვნებს გარკვეული სტანდარტებისა და ცვლილებების მიმართ, მათ შორის ფასს 18-ის, მომწოდებელთა დაფინანსების შეთანხმებების, მეორე სვეტის (Pillar Two) საგადასახადო რეფორმის, ბასს 21-ის გაცვლადობის ცვლილებებისა და ფასს 9-ისა და ფასს 7-ის ცვლილებების ფარგლებში.

ჯგუფი არ ელოდება, რომ გამოშვებულ, მაგრამ ჯერ არამოქმედ სტანდარტებსა და ცვლილებებს მნიშვნელოვანი გავლენა ექნება მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

## კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

### 3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

#### 3.1 დაზღვევისა და გადაზღვევის ხელშეკრულებების აღრიცხვის წესი

##### დაზღვევისა და გადაზღვევის ხელშეკრულებების კლასიფიკაცია

დაზღვევის ხელშეკრულება არის ხელშეკრულება, რომლის თანახმად ერთი მხარე (გამომშვები) თავის თავზე იღებს მეორე მხარის (პოლისის მფლობელის) მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს, ეთანხმება რა, რომ აუნაზღაურებს ზიანს იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებაში მითითებული განუსაზღვრელი მომავალი მოვლენა (სადაზღვევო შემთხვევა) უარყოფითად იმოქმედებს პოლისის მფლობელზე

გადაზღვევის ხელშეკრულება არის სადაზღვევო ხელშეკრულება, რომელიც ერთმა საწარმომ (გადამზღვეველმა) გამოსცა იმ მიზნით, რომ მეორე საწარმოს აუნაზღაუროს მის მიერ მოცემული ერთი ან რამდენიმე სადაზღვევო ხელშეკრულებიდან (საბაზისო ხელშეკრულებები) წარმო-შობილი მოთხოვნები/სადაზღვევო შემთხვევები. ჯგუფს აქვს პორტფელის გადაზღვევის ხელშეკრულებები და სხვა გადაზღვევის კონტრაქტები, რომლებიც გადასცემს მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს.

##### სადაზღვევო ხელშეკრულებიდან კომპონენტების ცალკე გამოყოფა

ჯგუფი აფასებს სადაზღვევო ხელშეკრულება მოიცავს თუ არა ერთ ან რამდენიმე ისეთ კომპონენტს, რომლებიც მიეკუთვნებოდა რომელიმე სხვა ფასს სტანდარტის მოქმედების სფეროს, თუ ისინი განცალკევებული ხელშეკრულებები იქნებოდა. განცალკევებული კომპონენტის გამოყოფის შემდეგ ჯგუფი იყენებს ფასს 17 საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულების ყველა დარჩენილი კომპონენტის მიმართ.

##### სადაზღვევო ხელშეკრულებების აგრეგირების დონე

ფასს 17 მოითხოვს, განისაზღვროს აგრეგირების დონე მისი მოთხოვნების შესაბამისად. აგრეგირების დონე პირველ რიგში განისაზღვრება დაზღვევის ხელშეკრულებების პორტფელზე დაყოფით. პორტფელები შედგება მსგავსი რისკის მქონე ხელშეკრულებების ჯგუფებისგან, რომლებიც იმართება ერთად. ფასს 17 ასევე მოითხოვს, რომ, აგრეგირების მიზნებისთვის, არცერთი ჯგუფი არ მოიცავდეს ხელშეკრულებებს, რომელთა გაფორმების თარიღებს შორის ინტერვალი აღემატება ერთ წელს. აქედან გამომდინარე, ჯგუფი ყოველი წლის განმავლობაში გაფორმებულ ხელშეკრულებების პორტფელს ყოფს სამ ჯგუფად, შემდეგნაირად:

- ხელშეკრულებების ჯგუფი, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას წაგებიანია, ასეთის არსებობისას;
- ხელშეკრულებების ჯგუფი, რომელსაც თავდაპირველი აღიარებისას არ აქვს მნიშვნელოვანი ალბათობა იმისა, რომ შემდგომში გახდება წაგებიანი, ასეთის არსებობისას; და
- პორტფელში შემავალი დანარჩენი ხელშეკრულებების ჯგუფი, ასეთის არსებობისას.

##### აღიარება

ჯგუფი აღიარებს სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფს, რომელსაც თვითონ გამოსცემს, შემდეგი თარიღებიდან ყველაზე ადრინდელი თარიღისთვის:

- ხელშეკრულებების ჯგუფის სადაზღვევო პერიოდის დასაწყისი;
- თარიღი, როდესაც ხელშეკრულებების შესაბამის ჯგუფში უნდა განხორციელდეს რომელიმე პოლისის მფლობელისგან პირველი გადახდა ან თარიღი, როდესაც უნდა მოხდეს პირველი გადახდის მიღება, თუ არ არის გადახდის თარიღი დადგენილი; და
- წაგებიანი ხელშეკრულებების ჯგუფისთვის, როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებს იმაზე, რომ ჯგუფი წაგებიანია.

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

**3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**

ჯგუფი აღიარებს გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფს, რომელსაც თვითონ ფლობს, შემდეგი თარიღებიდან ყველაზე ადრინდელი თარიღისთვის:

- ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფის სადაზღვევო პერიოდის დაწყების თარიღი. თუმცა, ჯგუფი გადადებს ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების იმ ჯგუფის აღიარებას, რომელიც პროპორციულ სადაზღვევო დაფარვას უზრუნველყოფს, ნებისმიერი საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულების თავდაპირველი აღიარების თარიღამდე, თუ ეს თარიღი ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფის სადაზღვევო პერიოდის დაწყების თარიღის შემდგომი თარიღია; და
- თარიღი, როდესაც ჯგუფი აღიარებს საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებების წაგებიან ჯგუფს, იმ შემთხვევაში, თუ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების მოცემულ ჯგუფში შემავალი შესაბამისი ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულება ჯგუფმა დადო ამ თარიღისთვის ან უფრო ადრე.

**ხელშეკრულების ფარგლები**

ჯგუფის სადაზღვევო ხელშეკრულებების შეფასებისას ჯგუფი ითვალისწინებს ყველანაირ მომავალ ფულად ნაკადს, რომელიც განეკუთვნება ჯგუფში შემავალი თითოეული ხელშეკრულების ფარგლებს. ფულადი ნაკადები სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებს განეკუთვნება, თუ ისინი წარმოიშობა იმ საანგარიშგებო პერიოდში არსებული რეალური უფლებებიდან და ვალდებულებებიდან, რომლის განმავლობაშიც ჯგუფს შეუძლია პოლისის მფლობელს დაავალდებულოს პრემიების გადახდა, ან ჯგუფს აქვს რეალური ვალდებულება, სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება გაუწიოს პოლისის მფლობელს.

არ აღიარდება ვალდებულება ან აქტივი, რომელიც დაკავშირებულია იმ მოსალოდნელ პრემიებთან ან მოსალოდნელ სადაზღვევო შემთხვევებთან, რომლებიც არ განეკუთვნება სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებს. ამგვარი თანხები დაკავშირებულია მომავლის სადაზღვევო ხელშეკრულებებთან.

**შეფასება - პრემიების განაწილებაზე დაფუძნებული მიდგომა PAA**

ჯგუფი იყენებს პრემიების განაწილებაზე დაფუძნებული მიდგომას (PAA) ყველა იმ სადაზღვევო ხელშეკრულებისთვის, რომელსაც ის გამოსცემს და მოელის მიაკუთვნოს მიეს მიერ ფლობილ გადაზღვევის ხელშეკრულებებს, თუ:

- ჯგუფში შემავალი თითოეული ხელშეკრულების სადაზღვევო პერიოდი არის ერთი წელი ან უფრო ნაკლები, მათ შორის, სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებების, რომლებიც წარმოიშობა ყველა პრემიიდან, რომელიც განეკუთვნება ხელშეკრულების ფარგლებს; ან
- ერთ წელზე მეტი ხანგრძლივობის ხელშეკრულებებისთვის, ჯგუფმა შეიმუშავა შესაძლო მომავლის სცენარები და გონივრულად ვარაუდობს, რომ PAA მეთოდით შეფასებული ჯგუფში შემავალი ხელშეკრულებების დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება არსებითად არ განსხვავდება იმ შეფასების შედეგისგან, რომელიც ძირითადი შეფასების მეთოდის გამოყენების შედეგად დადგებოდა. ასეთი ხელშეკრულებებიდან აღიარებული შემოსავალი უტოლდება სადაზღვევო შემოსავლის 1%-ზე ნაკლებს ფასს 17-ის მიხედვით 2025 წლისთვის (2024: 1%-ზე ნაკლები).

**სადაზღვევო ხელშეკრულებები - თავდაპირველი შეფასება**

ჯგუფის იმ სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის, რომელიც არ არის წაგებიანი თავდაპირველი აღიარებისას, ჯგუფი აფასებს დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებას, როგორც საწყისი აღიარებისას მიღებულ პრემიას (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებს რომ ხელშეკრულებები წაგებიან საწყისი აღიარებისას, ჯგუფი ატარებს დამატებით ანალიზს, რათა განსაზღვროს მოსალოდნელია თუ არა ნეტო გადინება ხელშეკრულებიდან. ასეთი წაგებიანი ხელშეკრულებები ჯგუფდება განცალკევებით სხვა ხელშეკრულებებისაგან და ჯგუფი აღიარებს ზარალს მოგებაში ან ზარალში ნეტო გადინებასთან მიმართებით, რის შედეგადაც ამ ჯგუფთან დაკავშირებული ვალდებულების საბალანსო ღირებულება გაუტოლდება გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს. ჯგუფი განსაზღვრავს დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულების ზარალის კომპონენტს ნებისმიერი ასეთი წაგებიანი ჯგუფისთვის, რომელიც ასახავს აღიარებულ ზარალს.

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

**3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**

**გადაზღვევის ხელშეკრულებები - საწყისი აღიარება**

ჯგუფი აფასებს გადაზღვევის აქტივებს გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფისთვის, რომლსაც იგი ფლობს, იმგვარადვე როგორც სადაზღვევო ხელშეკრულებებს, რომელსაც თვითონ გამოსცემს. თუმცა ახდენს მათ კორექტირებას, რათა ასახოს ის გადაზღვევის ხელშეკრულების მახასიათებლები, რომელიც განსხვავდება გამოცემული სადაზღვევო ხელშეკრულებებისაგან, მაგალითად ხარჯების წარმოშობა ან ხარჯების შემცირება ამონაგების აღიარების ნაცვლად.

სადაც ჯგუფი აღიარებს ზარალს დაკავშირებულ სადაზღვევო ხელშეკრულების წაგებიან ჯგუფთან მიმართებით ან როდესაც შემდგომი დაკავშირებული სადაზღვევო ხელშეკრულებები ემატება ჯგუფში, ჯგუფი განსაზღვრავს გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფის დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის აქტივისთვის ზარალის კომპენსაციის კომპონენტს, რომელიც ასახავს აღიარებული ზარალის ანაზღაურებას.

**სადაზღვევო ხელშეკრულებები - შემდგომი შეფასება**

ჯგუფი აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებას, შემდეგნაირად:

- საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებას; დამატებული
- პერიოდის განმავლობაში მიღებული პრემია; მინუს
- თანხა, რომელიც აღიარებულია სადაზღვევო ამონაგების სახით მოცემული პერიოდის განმავლობაში გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით.

ჯგუფი არ ახდენს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულების საბალანსო ღირებულების კორექტირებას ფულის დროითი ღირებულებისა და ფინანსური რისკის გავლენის ასახვის მიზნით, რადგან თავდაპირველი აღიარების მომენტში ჯგუფი ვარაუდობს, რომ მომსახურების თითოეული ნაწილის გაწევისა და დაკავშირებული პრემიის გადახდის თარიღს შორის დროის პერიოდი არ აღემატება ერთ წელს.

ჯგუფი აფასებს დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილ ვალდებულებას, როგორც გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, რომელიც უკავშირდება დამდგარ სადაზღვევო შემთხვევებს. გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადები მიუკერძოებლად თვალისწინებს მიზანშეუწონელი დანახარჯების თუ ძალისხმევის გარეშე ხელმისაწვდომ ყველანაირ დასაბუთებულ და დადასტურებულ ინფორმაციას, რომელიც ეხება ამ მომავალი ფულადი ნაკადების ოდენობას, მათი წარმოშობის დროსა და დაკავშირებულ განუსაზღვრელობას; ისინი ასახავს ჯგუფის მიმდინარე შეფასებებს და მოიცავს არა-ფინანსური რისკის კორექტირებას (რისკის კორექტირება).

ჯგუფი აკორექტირებს მომავალ ფულად ნაკადებს ფულის დროითი ღირებულებით და დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულების შეფასებას ფინანსური რისკის ეფექტით, გარდა იმ ფულადი ნაკადებისა რომელთა დაფარვაც მოსალოდნელია სადაზღვევო შემთხვევის დადგომის თარიღიდან ერთ წელიწადში. ჯგუფი მომავალი ფულადი ნაკადების კორექტირებას არ ახდენს ფულის დროითი ღირებულებით და დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულების შეფასებას ფინანსური რისკის ეფექტით, იმ შემთხვევაში თუ ამ ფულადი ნაკადების დაფარვა ან მიღება მოსალოდნელია სადაზღვევო შემთხვევების დადგომის თარიღიდან ერთ წელიწადში ან უფრო ნაკლებ ვადაში.

**ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებები - შემდგომი შეფასება**

ჯგუფი მის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების შემდგომ შეფასებას ახდენს იგივე პრინციპით როგორც სადაზღვევო ხელშეკრულებების, როლთაც ის გამოსცემს და ახდენს ადაპტაციას გადაზღვევასთან დაკავშირებული გარკვეული მახასიათებლების გათვალისწინების მიზნით.

**გამოცემული სადაზღვევო ხელშეკრულებების დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები**

ყველა დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები აღიარდება ხარჯებში მათი გაწევისთანავე. ეს მოიცავს მცირე რაოდენობის ხელშეკრულებებს, სადაც სადაზღვევო პერიოდი აღემატება თორმეტ თვეს და აღნიშნულ ხელშეკრულებებთან მიმართებით არ ფიქსირდება არსებითი აკვიზიციის ხარჯები. აღნიშნული მიდგომა განსხვავდება ჯგუფის წინა სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელიც გულისხმობდა აკვიზიციის ხარჯების სადაზღვევო პერიოდზე განაწილებას.

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

**3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**

**სადაზღვევო ხელშეკრულებები - მოდიფიკაცია და აღიარების შეწყვეტა**

ჯგუფი ახდენს სადაზღვევო ხელშეკრულებების აღიარების შეწყვეტას, როდესაც:

- ხელშეკრულება შეწყდება ე.ი. როდესაც სადაზღვევო ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებას ვადა გაუვა, დაიფარება ან გაუქმდება; ან
- თუ სადაზღვევო ხელშეკრულება მოდიფიცირდება ისე რომ იწვევს შეფასების მოდელში ცვლილებას ან როდესაც შესაბამის სტანდარტი, რომელიც ხელშეკრულების კომპონენტის შეფასებისთვის გამოიყენება, მნიშვნელოვნად ცვლის ხელშეკრულების ფარგლებს ან მოითხოვს მოდიფიცირებული ხელშეკრულების სხვა ჯგუფში ჩართვას. ასეთ შემთხვევაში ჯგუფი ახდენს თავდაპირველი ხელშეკრულების აღიარების შეწყვეტას და აღიარებს მოდიფიცირებულ ხელშეკრულებას როგორც ახალ ხელშეკრულებას.

როდესაც მოდიფიკაცია არ აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის პირობებს, ჯგუფი ხელშეკრულების მოდიფიკაციის შედეგად მიღებულ ან გადახდილ თანხებს ასახავს როგორც გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შეფასებების ცვლილებას.

**წარდგენა**

ჯგუფი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ცალ-ცალკე წარადგენს ჯგუფის მიერ გამოშვებულ სადაზღვევო ხელშეკრულებებს, რომლებიც წარმოადგენს აქტივებს, გამოშვებულ ხელშეკრულებებს, რომლებიც წარმოადგენს ვალდებულებებს; ფლობილ გადაზღვევის ხელშეკრულებებს, რომლებიც წარმოადგენს აქტივებს და ფლობილ გადაზღვევის ხელშეკრულებებს, რომელიც წარმოადგენს ვალდებულებებს.

ჯგუფი ახდენს მოგებასა და ზარალის ანგარიშგებაში აღიარებული მთლიანი თანხების დეზაგრეგირებას გაწეული სადაზღვევო მომსახურების შედეგს, რომელიც მოიცავს სადაზღვევო ამონაგებს და სადაზღვევო მომსახურების ხარჯებს და სადაზღვევო ფინანსურ შემოსავალს ან ხარჯებს შორის.

ჯგუფი არ ახდენს არაფინანსური რისკის საფუძველზე განხორციელებული კორექტირების თანხის ცვლილების დეზაგრეგირებას ფინანსურ და არაფინანსურ ნაწილებს შორის და მთლიან ცვლილებას ასახავს როგორც სადაზღვევო მომსახურების შედეგის ნაწილს.

ჯგუფი ერთი თანხის სახით წარადგენს ფლობილ გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფთან დაკავშირებულ შემოსავალებს ან ხარჯებს, რომელიც არ მოიცავს სადაზღვევო ფინანსურ შემოსავალს ან ხარჯებს.

**სადაზღვევო ამონაგები**

პერიოდის სადაზღვევო ამონაგები წარმოადგენს მოსალოდნელი მისაღები პრემიის თანხას (არ მოიცავს საინვესტიციო კომპონენტს და შესწორებულია საკრედიტო რისკით), რომელიც მიკუთვნებულია მოცემულ პერიოდზე. შესაბამისად, ფასს 17-ის მოდელი სადაზღვევო ამონაგების აღიარებასთან მიმართებით ასახავს დაზღვეულების მიერ პრემიის გადაუხდელობის რისკს.

ჯგუფი მოსალოდნელ მისაღებ პრემიას სადაზღვევო ხელშეკრულების მომსახურებას თითოეულ პერიოდზე ანაწილებს დროის გასვლის პროპორციულად. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში რისკისგან განთავისუფლების მოსალოდნელი სქემა მნიშვნელოვნად განსხვავდება იმ სქემისგან, რომელიც ასახავს დროის გასვლას, მაშინ მისაღები პრემია ნაწილდება სადაზღვევო მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების წარმოშობის მოსალოდნელი დროის საფუძველზე. დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულების დისკონტირება არ ხდება.

**სადაზღვევო ფინანსური შემოსავალი და ხარჯები**

სადაზღვევო ფინანსური შემოსავალი ან ხარჯები მოიცავს სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფის საბალანსო ღირებულების ისეთ ცვლილებას, გარდა იმ ხელშეკრულებებისა რომელთა გადახდაც მოსალოდნელია წარმოშობიდან ერთ წელიწადში, რომელიც წარმოიშობა:

- ფულის დროითი ღირებულებისა და მისი ცვლილებების გავლენის შედეგად; და
- ფინანსური რისკისა და მისი ცვლილებების გავლენის შედეგად.

### კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

### 3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

#### წმინდა შემოსავალი ან ხარჯები ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან

ჯგუფი წარადგენს მოგებაში ან ზარალში ერთი თანხის სახით გადამზღვეველის მიერ მოსალოდნელ ასანაზღაურებელ თანხებს და გადახდილი გადაზღვევის პრემიების განაწილების თანხებს.

#### 3.2 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

##### ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც ჯგუფი ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარებში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

##### ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით. 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები.

#### 3.3 ფინანსური ინსტრუმენტები

##### ფინანსური აქტივები

სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. ჯგუფის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება ჯგუფის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

##### ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღირიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. ჯგუფი საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო და სხვა სავაჭრო მოთხოვნები აღირიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღირიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში სხვა საოპერაციო ხარჯების მუხლში. ჯგუფი სავაჭრო და სხვა მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ სავაჭრო და სხვა მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

### კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

### 3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ფულს, მოთხოვნამდე დეპოზიტებს, სხვა მოკლევადიან მაღალი რისკის ინვესტიციებს, რომლის დასრულების ვადაც განისაზღვრება სამი ან ნაკლები თვით.

#### ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე ჯგუფი მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

#### ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ურთიერთგადაფარავს მაშინ, როდესაც ურთიერთგადაფარვა იურიდიულად არ არის შეზღუდული და ჯგუფი გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

#### 3.4 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს. მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა. აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით.

ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, აქტივის ღირებულების განაწილებით დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები შეფასებულია შემდეგნაირად: შენობა - 50 წელი, კომპიუტერული ტექნიკა და ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი, სატრანსპორტო საშუალებები 10 წელი. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

#### 3.5 ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფის წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ ჯგუფის მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა. ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

## კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

### 3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღება მოსალოდნელია.

### 3.6 მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული სადაზღვევო კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები 2024 წლის 31 დეკემბრიდან, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

### 3.7 სააქციო კაპიტალი

ჯგუფის სააქციო კაპიტალი განისაზღვრება ჯგუფის წესდებით. წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. გამოშვებული კაპიტალი აღიარდება როგორც სააქციო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. სააქციო კაპიტალი აღიარდება ნომინალური ღირებულებით. სხვაობა შენატანების რეალურ ღირებულებას და აქციების ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება როგორც საემისიო კაპიტალი.

### 3.8 იჯარა

ჯგუფი იჯარის ხელშეკრულებებს აღრიცხავს ფასს 16-ის მიხედვით. იჯარა არსებობს, თუ ხელშეკრულება გადასცემს კონტროლის უფლებას იდენტიფიცირებულ აქტივზე გარკვეული პერიოდის განმავლობაში ანაზღაურების სანაცვლოდ, რაც გულისხმობს აქტივიდან პრაქტიკულად მთელი სარგებლის მიღებას და აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრას.

საწყის ეტაპზე იჯარის ვადის დაწყების დღეს აღიარდება აქტივის გამოყენების უფლება და შესაბამისი ვალდებულება საიჯარო გადასახდელისთვის, გამონაკლისია მოკლევადიანი იჯარა ან დაბალი ღირებულების აქტივი. აქტივის ღირებულებაში შედის საიჯარო ვალდებულება დასაწყისი, წინასწარ გადახდილი გადახდები, თავდაპირველი პირდაპირი ხარჯები და დემონტაჟის ან აღდგენის საჭირო დანახარჯები. ვალდებულება ფასდება დისკონტირებული ღირებულებით, ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით ან ზღვრული სასესხო განაკვეთით.

შემდგომ პერიოდში საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება გადახდებით, ხოლო აქტივი ამორტიზდება იჯარის ვადის ან აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით. ცვლილებების ან მოდიფიკაციების დროს ვალდებულება და აქტივი შესაბამისი რაოდენობით კორექტირდება. იჯარის ნაწილობრივი ან სრული შეწყვეტის შემთხვევაში ზედმეტი ან დარჩენილი თანხა აღიარება ხდება მოგება/ზარალში.

ჯგუფი განსაზღვრავს იჯარის ვადას, ითვალისწინებს იჯარის გაგრძელებისა და ვადამდე შეწყვეტის უფლებებს და საჭიროების შემთხვევაში ხელახლა აფასებს მათი გამოყენების სარწმუნოებას. მოკლევადიანი იჯარა და დაბალი ღირებულების აქტივები აღიარდება ხარჯად იჯარის ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით.

### 4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

**4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები (გაგრძელება)**

**(ა) ფასს 17 - სააღრიცხვო განსჯა და განუსაზღვრელობის შეფასების წყაროები**

**აგრეგირების დონე - სააღრიცხვო განსჯა**

ჯგუფი პორტფელს განსაზღვრავს როგორც ისეთ სადაზღვევო ხელშეკრულებებს, რომელთაც გააჩნიათ მსგავსი რისკები და იმართება ერთად. ხელშეკრულებები ერთი პროდუქტის ხაზის ფარგლებში არის ერთი და იმავე პორტფელში, რადგან აქვთ მსგავსი რისკები და იმართება ერთად. შეფასება, თუ რომელი რისკებია მსგავსი და როგორ იმართება ხელშეკრულებები მოითხოვს განსჯას.

**პრემიების განაწილებაზე დაფუძნებული მიდგომა - სააღრიცხვო განსჯა**

მცირე რაოდენობის სადაზღვევო და გადაზღვევის ხელშეკრულებებისთვის, რომელთაც აქვთ თორმეტ თვეზე მეტი სადაზღვევო პერიოდი (როგორც აღწერილია სააღრიცხვო პოლიტიკაში), ჯგუფი ხელშეკრულების შესწავლის შემდგომ ირჩევს PAA მიდგომას, რადგან მოელის რომ დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება არსებითად არ განსხვავდება ძირითადი შეფასების მოდელისგან. ჯგუფი განსჯაზე დაყრდნობით განსაზღვრავს რამდენად დასაშვებია PAA მიდგომის გამოყენება საწყისი აღიარებისას.

**წაგებიანი ხელშეკრულებები - განუსაზღვრელობის შეფასების წყარო**

ჯგუფი მიიჩნევს რომ საწყისი აღიარებისას არც ერთი ხელშეკრულება არ არის წაგებიანი, მანამ სანამ ფაქტები და გარემოებები არ მიუთითებს სხვაგვარად. ეს ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებას, რაც შეიძლება განუსაზღვრელი იყოს მათი დროის, ზომის და ალბათობის გამო. იმ შემთხვევაში თუ სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ნებისმიერ დროს ფაქტები და გარემოებები მიუთითებს, რომ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფი წაგებიანია, ჯგუფი ადგენს დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულების ზარალის კომპონენტს როგორც ჯგუფის დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებასთან დაკავშირებულ გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების გადაჭარბებას დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულების მთლიანი საბალანსო ღირებულება/პირვანდელი ღირებულებასთან მიმართებით. შესაბამისად, სადაზღვევო პერიოდის ბოლოს სადაზღვევო ხელშეკრულებების ზარალის კომპონენტი ნულის ტოლი იქნება. როდესაც ჯგუფი საწყისად აღიარებს სადაზღვევო ხელშეკრულებების წაგებიან ჯგუფს ან როცა შემდგომში ემატება წაგებიანი საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებების წაგებიანი ჯგუფი, და ჯგუფი ფლობს მოკორესპონდენტო გადაზღვევის ხელშეკრულებას, ჯგუფი განსაზღვრავს ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფის დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის აქტივისთვის ზარალის კომპენსაციის კომპონენტს, რომელიც ასახავს აღიარებული ზარალის ანაზღაურებას.

**მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებები - განუსაზღვრელობის შეფასების წყარო**

მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისას, ჯგუფი მიუკერძოებლად ითვალისწინებს მიზანშეუწონელი დანახარჯების თუ ძალისხმევის გარეშე ხელმისაწვდომ ყველანაირ დასაბუთებულ და დადასტურებულ ინფორმაციას საანგარიშგებო თარიღისთვის. ეს ინფორმაცია მოიცავს ზარალებთან და სხვა ხარჯებთან დაკავშირებით როგორც შიდა ასევე გარე ისტორიულ, განახლებულ მონაცემებს, რათა ასახოს მომავალი მოვლენების შესახებ მიმდინარე მოლოდინები. მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებები ასახავს ჯგუფის ხედვას მიმდინარე მოვლენებზე საანგარიშგებო თარიღისთვის, რათა უზრუნველყოს შესაბამისი საბაზრო ცვლადების შეფასებების შესაბამისობა ამ ცვლადი სიდიდეების დაკვირვებად საბაზრო ფასებთან, თუმცა აღნიშნული ფულადი ნაკადები არსებითად განუსაზღვრელია მათი ზომის, დროის მიხედვით და დაფუძნებულია ალბათობებით შეწონილი საშუალო მნიშვნელობის მოლოდინებზე.

**რისკის კორექტირება - განუსაზღვრელობის შეფასების წყაროები**

რისკის კორექტირება არა-ფინანსური რისკისთვის განისაზღვრება ისე, რომ გაითვალისწინოს კომპენსაცია, რომელსაც ჯგუფი მოითხოვს არა ფინანსური რისკის აღებისთვის და რისკის ის დონე, რომელსაც ჯგუფი არ იღებს თავის თავზე. აღნიშნული განისაზღვრება ჯგუფის დონეზე (გარდა ჯანმრთელობის დაზღვევისა, რომლისთვისაც განისაზღვრება პორტფელის დონეზე) და მიეკუთვნება ხელშეკრულებების ჯგუფს მათი რეზერვის ზომის შესაბამისად. ჯგუფი არაფინანსური რისკის საფუძველზე განხორციელებული კორექტირების სიდიდის განსაზღვრისთვის იყენებს სანდოობის ინტერვალის ტექნიკას.

## კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

### 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები (გაგრძელება)

ჯგუფი აფასებს კონტრაქტებიდან მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელი დღევანდელი ღირებულების ალბათობის განაწილებას ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და გამოთვლის რისკის კორექტირებას არაფინანსური რისკისთვის ნდობის ინტერვალის ტექნიკის გამოყენებით. ნდობის ინტერვალის გულისხმობს ალბათობას, რომ პოპულაციის პარამეტრი დაეცემა მნიშვნელობებს შორის გარკვეული პროპორციით. იმ სიტუაციებში, როდესაც ზემოაღნიშნული მეთოდების განაწილების დაშვებები გაურკვეველია ან დარღვეულია, ხელახალი შერჩევის მეთოდები იძლევა სანდო ინტერვალის ან პროგნოზირების ინტერვალის აგებას.

ნდობის ინტერვალის ტექნიკის გამოყენებით, რისკის კორექტირება გამოითვლება როგორც ზღვარი არასასურველი გადახრის ალბათობებით შეწონილი მოსალოდნელი მნიშვნელობიდან, არჩეული ნდობის დონის გამოყენებით. რისკის კორექტირება არის მანძილი ალბათობით შეწონილ მოსალოდნელ მნიშვნელობას (საშუალოს შეფასება მთელ განაწილებაზე) და შერჩეული ნდობის დონის მიღმა ფულადი სახსრების ნაკადების ალბათობით შეწონილ მოსალოდნელ მნიშვნელობას შორის. ჯგუფი არაფინანსურ რისკს ანგარიშობს 80%-იანი დონით.

#### რეგრესი ალიარება

ჯგუფს შეიძლება ჰქონდეს უფლება, მესამე მხარეს მოსთხოვოს ზარალის სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურება (რეგრესი). ჯგუფი განიხილავს წარსულ გამოცდილებას და რეგრესიდან მოთხოვნას ალიარებს მაშინ, რიდესაც საიმედოდ შეაფასებს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს. ფულადი ნაკადების შეფასებისას, ჯგუფი ითვალისწინებს უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციიდან მოსალოდნელ წმინდა ფულადი ნაკადებს. რეგრესიდან მოთხოვნები ალიარდება მოსალოდნელ ფულად ნაკადებში გადაზღვევის წილის გამოკლებით.

#### ბ) სასამართლო დავები

ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარცხის საჭიროება და განმარტოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარცხების შეფასებისას ჯგუფი ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

### 5. რისკების მართვა

რისკების მართვა სადაზღვევო საქმიანობაში არსებითი ელემენტია. რისკი თანდაყოლილი მოვლენაა ჯგუფის საქმიანობისთვის, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორცაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი, რის შედეგადაც დგინდება რისკის ლიმიტი და იქმნება კონტროლის მექანიზმები. თითოეული პირი ჯგუფში ანგარიშვალდებულია მის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ რისკზე. ჯგუფის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის და სავალუტო რისკები. რისკების მართვის პოლიტიკა განხილულია ქვემოთ.

#### 5.1 სადაზღვევო რისკები

##### სადაზღვევო რისკების მართვა

ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა სადაზღვევო ხელშეკრულებების გაცემა და, შესაბამისად, სადაზღვევო რისკი არის ძირითადი რისკი. დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული რისკი არის სადაზღვევო შემთხვევის დადგომის რისკი, ნებისმიერი მოთხოვნის ოდენობისა და დროის გაურკვეველობის ჩათვლით.

ჯგუფის მიზანია უზრუნველყოს საკმარისი რეზერვები მის მიერ გაცემული სადაზღვევო კონტრაქტებთან დაკავშირებული ვალდებულებების დასაფარად. რისკის ზემოქმედება მცირდება სადაზღვევო კონტრაქტების პორტფელის დივერსიფიკაციის შედეგად. რისკის ცვალებადობა ასევე გაუმჯობესებულია ანდერრაიტინგის სტრატეგიის ინსტრუქციების ფრთხილად შერჩევით და განხორციელებით, ასევე გარე გადაზღვევის შეთანხმებების გამოყენებით. გადაზღვევა განთავსებულია როგორც პროპორციულ, ისე არაპროპორციულ საფუძველზე. პროპორციული გადაზღვევის უმეტესი ნაწილი არის კვოტური გადაზღვევა, რომლის მიზანია ჯგუფის საერთო რისკის შემცირება დაზღვევის ცალკეულ სახეობებზე. ზარალის არაპროპორციული გადაზღვევის შენარჩუნების ლიმიტები განსხვავდება პროდუქტის ხაზის მიხედვით.

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

**5. რისკების მართვა (გაგრძელება)**

სადაზღვევო რისკის ოდენობა ასევე დაკავშირებულია მომხმარებლის ქცევასთან. დაზღვეულების რაციონალურმა გადაწყვეტილებებმა შესაძლებელია გაზარდოს სადაზღვევო რისკი. დაზღვეული ქცევა გაითვალისწინება პროდუქტების მახასიათებლების ფორმირების დროს. მაგალითად: პოლისის ვადაზე ადრე შეწყვეტა შეიძლება ითვალისწინებდეს საჯარიმო სანქციებს, რომ მოხდეს შეძენის დანახარჯების გადაფარვა. მდგრადობის მონიტორინგი ხორციელდება პორტფელის დონეზე და ემყარება პორტფელის ბაზრის ინფორმაციას. დროდადრო, მენეჯმენტს შეუძლია განახორციელოს სპეციალური ქმედებები და წახალისებები მდგრადობის გასაუმჯობესებლად.

სადაზღვევო რისკის ოდენობა ასევე დაკავშირებულია ხარჯების ზრდის რისკთან, რაც გულისხმობს - ხელშეკრულების მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების მოულოდნელ ზრდას (და არა სადაზღვევო მოვლენებთან დაკავშირებული ხარჯების ზრდას). ხარჯების რისკი იმართება წლიური ბიუჯეტირების პროცესით და რეგულარული ხარჯების ანალიზით. ჯგუფი განუწყვეტლივ განიხილავს ანდერრაიტინგის სტრატეგიას განვითარებადი საბაზრო ფასების, ზარალის პირობებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

ჯგუფი ძირითადად გასცემს შემდეგი სახის ზოგადი დაზღვევის კონტრაქტებს: ქონების, ავტომობილის, პროფესიული პასუხისმგებლობის, უბედური შემთხვევის, მოგზაურობის, ტვირთის, სამედიცინო (ჯანმრთელობის) და მესამე მხარის პასუხისმგებლობის შესახებ. ასეთი ტიპის სადაზღვევო პოლისი ჩვეულებრივ მოიცავს თორმეტ თვეს.

არაჯანმრთელობის დაზღვევის კონტრაქტებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რისკები წარმოიქმნება კლიმატის ცვლილებებისა და ბუნებრივი კატასტროფებისგან. ჯანდაცვის კონტრაქტებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რისკები წარმოიქმნება ცხოვრების სტილის ცვლილებებით, ეპიდემიით და ა.შ. რისკები მნიშვნელოვნად განსხვავდება მათი წარმოშობის ადგილის, სახეობისა და ინდუსტრიის მიხედვით. აქედან გამომდინარე, პორტფელის თანხების არასათანადო თანაფარდობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ჯგუფის შემოსავლებზე.

ჯგუფის სადაზღვევო კონტრაქტების ანდერრაიტინგის რისკის მართვის ძირითადი კომპონენტი არის დისციპლინირებული ანდერრაიტის სტრატეგია, რომელიც ორიენტირებულია ბიზნესის ხარისხის გაუმჯობესებაზე. პროდუქტის ფასდადება მიზნად ისახავს შესაბამისი პრემიების დადგენას ყოველი ტიპის სავარაუდო რისკისთვის. ანდერრაიტინგის სტრატეგია მოიცავს ჯამური ლიმიტების დადგენას კონკრეტულ რისკებზე, გეოგრაფიულ და ინდუსტრიულ ზემოქმედების ლიმიტებთან ერთად. აღნიშნულის მიზანია უზრუნველყოფილი დივერსიფიცირებული პორტფელის შენარჩუნება, ზედმეტი ექსპოზიციის გარეშე რომელიმე გეოგრაფიულ რეგიონში. ლიმიტები დაწესებულია შესაბამისი რისკის შერჩევის კრიტერიუმების ხელშეწყობისთვის. დაზღვეულის რისკის პროფილების, პრეტენზიების გამოცდილების და საბაზრო ფაქტორების ცვლილებების საპასუხოდ, ხელშეკრულების ფასის ხელახალი განგარიშების შესაძლებლობა არის ფასების რისკის მნიშვნელოვანი შემამსუბუქებელი ფაქტორი. საცალო და კომერციულ ქონებაში ჯგუფი იყენებს ანალიტიკას რისკის ქვეშ მყოფი ქონების იდენტიფიცირებისთვის და რისკის შერჩევის გასაუმჯობესებლად. საცალო ვაჭრობის სფეროში ჯგუფი აგროვებს მონაცემებს დაზღვეულის მართვის ჩვევების შესახებ და არეგულირებს პრემიებს რისკის დინამიური შეფასების საფუძველზე.

ჯგუფი იყენებს გადაზღვევას ცალკეულ მოვლენებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ზარალის რისკის შესამცირებლად, მათ შორის ჭარბი ზარალის გადაზღვევის ჩათვლით. სადაც ინდივიდუალური რისკი აღემატება რისკის მისაღებ დონეს, ასევე შეძენილია დამატებითი ფაკულტატური გადაზღვევა. ჯგუფს აქვს ზარალების განხილვის დეპარტამენტი, რომლის მიზანია ზარალებთან დაკავშირებული რისკების შემცირება. ეს დეპარტამენტი იკვლევს და არეგულირებს ყველა არსებით ან საეჭვო პრეტენზიას. პრეტენზიები განიხილება ინდივიდუალურად, სულ მცირე, ყოველწლიურად და საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებულია რისკის მართვის სტრატეგიაში, რათა ასახოს უახლესი ინფორმაცია ძირითადი ფაქტების, მოქმედი კანონის, სახელშეკრულებო პირობებისა და სხვა ფაქტორების შესახებ. ჯგუფი აქტიურად მართავს და ახორციელებს ზარალების ადრეულ ანგარიშსწორებას, რათა შეამციროს მისი ზემოქმედება არაპროფიტირებადი მოვლენების მიმართ.

არასასიცოცხლო კონტრაქტებს ახასიათებს კატასტროფის რისკი - კატასტროფული მოვლენების შედეგად მნიშვნელოვანი ზარალის მიყენების რისკი. ამ ტიპის რისკი გავლენას ახდენს საავტომობილო და ქონების დაზღვევის პოლისებზე. ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელსაც შეუძლია გაზარდოს ზარალების რაოდენობა და სიხშირე, არის კატასტროფული მოვლენა, როგორცაა ქარიშხალი, წყალდიდობა ან მიწისძვრა.

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

**5. რისკების მართვა (გაგრძელება)**

ყველა ტიპის სადაზღვევო პროდუქტისთვის დამახასიათებელია: პრემიის რისკი - რისკი იმისა, რომ დაზღვეულებისთვის დარიცხული პრემიები ნაკლებია ზარალების ოდენობაზე; რეზერვის რისკი - რისკი იმისა, რომ ზარალების რეზერვები არასაკმარისია ყველა ზარალის დასაფარად.

სიცოცხლის დაზღვევის პოლისებისთვის, სადაც სიკვდილი ან ინვალიდობა არის სადაზღვევო რისკი, ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება გაზარდონ ზარალების ოდენობა და სიხშირე, არის ეპიდემიები ან ცხოვრების წესის ფართოდ გავრცელებული ცვლილებები, რაც გამოიწვევს მოსალოდნელზე ადრე ან მეტ ზარალს.

ჯგუფი იყენებს „ზარალის კოეფიციენტს“ სადაზღვევო რისკების მონიტორინგის მიზნით. კოეფიციენტი მიიღება სადაზღვევო ზარალების გაყოფით სადაზღვევო ამონაგებზე. ჯგუფის ზარალის კოეფიციენტი შემდეგია:

	2025	2024
ზარალის კოეფიციენტი გადაზღვევის გარეშე	71%	68%
ზარალის კოეფიციენტი გადაზღვევის გათვალისწინებით	66%	68%

**სადაზღვევო რისკის მგრძობელობა**

ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ხელშეკრულების მოკლევადიანი ხასიათიდან გამომდინარე, სადაზღვევო პორტფელი მგრძობიარეა ძირითადად ზარალიანობის კოეფიციენტის მოსალოდნელი ცვალებადობის მიმართ. ჯგუფი ზარალიანობის კოეფიციენტის ფაქტიურ მაჩვენებელს სხვა ფაქტორებთან ერთად ითვალისწინებს მომავალში სადაზღვევო ტარიფების ფორმირებისას. შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს ჯგუფის მგრძობელობას ზარალის კოეფიციენტის მიმართ 5%-იანი ზრდისა და შემცირების პირობებში

	2025	2024
მოგება/(ზარალი) - გადაზღვევის გარეშე	566	473
მოგება/(ზარალი) - გადაზღვევის ჩათვლით	418	388

ხელმძღვანელობის შეფასებით 5%-იანი ცვლილება წარმოადგენს ზარალიანობის კოეფიციენტის შესაძლო ცვლილების გონივრულ საზღვრებს. მგრძობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული პორტფელიდან მოსალოდნელ სადაზღვევო შემოსავლების და სადაზღვევო ზარალების გონივრულ ცვლილებას.

**სადაზღვევო რისკის კონცენტრაცია**

სადაზღვევო რისკის კონცენტრაცია არსებობს ისეთ შემთხვევაში, თუ კონკრეტულ შემთხვევას ან შემთხვევათა ჯგუფს აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა ჯგუფის ვალდებულებებზე. ასეთი კონცენტრაცია შეიძლება წარმოიშვას ერთ სადაზღვევო კონტრაქტზე ან/და სადაზღვევო კონტრაქტების ერთობლიობაზე. რისკის კონცენტრაციის სამართავად ჯგუფი იყენებს გადაზღვევას. ხელმძღვანელობის შეფასების სადაზღვევო რისკების კონცენტრაციას გამოხატავს სადაზღვევო შემოსავლის განაწილება სახეობების მიხედვით (შენიშვნა 6).

**სადაზღვევო რისკი - სადაზღვევო შემთხვევების დინამიკა**

ჯგუფი არ განმარტავს ინფორმაციას სადაზღვევო შემთხვევების დინამიკის შესახებ, რადგან დანახარჯების ოდენობასა და გადახდის დროსთან დაკავშირებული განუსაზღვრელობა, როგორც წესი, გადაიჭრება ერთ წელიწადში.

## კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

### 5. რისკების მართვა (გაგრძელება)

#### სადაზღვევო რისკი – საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფინანსური ზარალის რისკი, რომელიც გამოწვეულია კონტრაქტორის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. ჯგუფს აქვს მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოიქმნება გადაზღვევის ხელშეკრულების აქტივებიდან. სადაზღვევო ოპერაციებიდან წარმოშობილი სხვა საკრედიტო რისკები არ ითვლება მნიშვნელოვანად. გადამზღვეველთა კრედიტუნარიანობა განიხილება ყოველწლიურად მათი ფინანსური სიძლიერის გადახედვით ნებისმიერი ხელშეკრულების გაფორმებამდე. გადამზღვეველთა ფინანსური ანალიზი, ხორციელდება ჯგუფის საკრედიტო რისკის კლასიფიკაციის მიხედვით, გარე საკრედიტო რეიტინგებისა და შიდა მიმოხილვების საფუძველზე. ჯგუფის პოლიტიკა არის მხოლოდ დაბალი საკრედიტო რისკის გადამზღვეველების მიღება.

საანგარიშგებო და შესადარისი პერიოდის ბოლოს ჯგუფს გადამზღვეველის მიმართ აქვს ვალდებულებები. თუმცა მის მიერ მიღებული პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს, რომ საკრედიტო რისკი კონტროლირებად და დაბალ დონეზე დარჩეს. ჯგუფის გადამზღვევლის რეიტინგი Fitch-ის მიხედვით შეადგენს „A+“.

#### სადაზღვევო რისკი – ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს გადაიხადოს ყველა ვალდებულება შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით ჯგუფი ახორციელებს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რაც წარმოადგენს აქტივების/ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. ზარალებიდან წარმოქმნილი ვალდებულება და წარმოშობილ ზარალში გადამზღვეველისგან მისაღები თანხები გადასახდელია 1 წლის განმავლობაში.

სადაზღვევო და გადაზღვევის ხელშეკრულებებს აქვთ ნულოვანი თანხები, რომლებიც გადასახდელია მოთხოვნისთანავე.

#### სადაზღვევო რისკი – სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი, რომ სადაზღვევო და გადაზღვევის ხელშეკრულების აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულება მერყეობდეს უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების გამო. სავალუტო კურსის ცვლილება არამატერიალურ გავლენას ახდენს სადაზღვევო ხელშეკრულების ვალდებულებებზე. გადაზღვევის ხელშეკრულების აქტივები და ვალდებულებები დენომინირებულია აშშ დოლარში და ევროში. გადაზღვევის ხელშეკრულების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ სავალუტო რისკს.

ჯგუფის მგრძობელობა აშშ დოლარის ან ევროს მიმართ 20%-იანი მატებისა და კლების პირობებში ქართულ ლართან მიმართებაში არის მოგება/(ზარალი) 239 ათასი ლარი (2024 წელი – 46 ათასი ლარი). 20% წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც წარედგინება ჯგუფის ხელმძღვანელობას სავალუტო რისკის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისას, და ხელმძღვანელობის შეფასებით, წარმოადგენს გასაცვლელი კურსის შესაძლო ცვლილებას.

### 5.2. კაპიტალის მართვის მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები

ჯგუფმა შეიმუშავა კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები იმისთვის, რათა მართოს ის რისკები, რომლებიც კაპიტალის პოზიციაზე ახდენს გავლენას. კაპიტალის მართვის მიზნებია:

- ჯგუფმა შეინარჩუნოს სტაბილურობის მოთხოვნილი დონე, შედეგად, უზრუნველყოს სადაზღვევო პოლისის მფლობელების დაცულობა;
- გაანაწილოს კაპიტალი ეფექტურად და დაეხმაროს ბიზნესს განვითარებაში, რათა უკუგებამ კაპიტალზე დააკმაყოფილოს მფლობელთა მოთხოვნები;
- შეინარჩუნოს ფინანსური მოქნილობა ლიკვიდურობის შენარჩუნებისა და კაპიტალის სხვადასხვა ბაზარზე წვდომისთვის;
- შეინარჩუნოს ფინანსური სიძლიერე ახალი ბიზნესის ზრდისა და სადაზღვევო პოლისის მფლობელთა, რეგულატორთა და კაპიტალის მფლობელთა დაკმაყოფილების უზრუნველყოფის მიზნით.

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

**5. რისკების მართვა (გაგრძელება)**

ჯგუფის საქმიანობა ასევე ექვემდებარება მარეგულირებელ მოთხოვნებს იმ იურისდიქციის ფარგლებში, რომელშიც ის მოქმედებს. ამგვარი მარეგულირებელი წესები განსაზღვრავენ არა მხოლოდ საქმიანობის მიმართულებას და მონიტორინგს უწევენ მას, არამედ ადგენენ გარკვეულ შემზღუდავ ნორმებსაც, მაგალითად, კაპიტალის ადეკვატურობის ნორმებს, გაუთვალისწინებელი ვალდებულებების წარმოშობის შედეგად სადაზღვევო კომპანიების დეფოლტისა და გაკოტრების რისკების მინიმიზაციისთვის. ჯგუფის კაპიტალის მართვის პოლიტიკა მიმართულია საკმარისი ლიკვიდური აქტივების შენარჩუნებისთვის, საზედამხებველო მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით.

**კაპიტალის მართვის მიდგომა**

ჯგუფი ცდილობს კაპიტალის სტრუქტურისა და წყაროს ოპტიმიზაციას, რათა მუდმივად შეძლოს კაპიტალისა და პოლისის მფლობელთათვის უკუგების გაუმჯობესება. ჯგუფის კაპიტალის მართვისადმი მიდგომა მოიცავს აქტივების, ვალდებულებებისა და რისკების კოორდინირებულ მართვას, არსებული და მოთხოვნილი კაპიტალის ოდენობის მუდმივი შეფასებით და შესაბამისი ზომების მიღებით, რათა გავლენა მოახდინოს ჯგუფის კაპიტალის პოზიციაზე.

**საზედამხებველო მოთხოვნები** - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხებველობის სამსახურის მიერ დაწესებულია მინიმალური კაპიტალის ოდენობა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს სადაზღვევო საქმიანობის განმახორციელებელი პირი საქმიანობის ყველა ეტაპზე. 2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნული თანხა ჯგუფისთვის შეადგენს 7,200 ათას ლარს. ამასთან, ჯგუფს მზღვეველის საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე უნდა გააჩნდეს საქართველოში ლიცენზირებულ საბანკო დაწესებულებებში გახსნილ ანგარიშებზე თანხა მინიმალური კაპიტალის 100%-ის ოდენობით.

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხებველობის სამსახურის მოთხოვნით, ჯგუფს უნდა გააჩნდეს აქტივები სადაზღვევო რეზერვების დასაფარად. აღნიშნული აქტივების შესაძლო სტრუქტურას განსაზღვრავს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხებველობის სამსახური. ამავე მოთხოვნის შესაბამისად, ჯგუფის სადაზღვევო რეზერვების უზრუნველყოფის მიზნით უნდა გააჩნდეს ფული და ფულის ეკვივალენტები საბანკო დაწესებულებებში გახსნილ ანგარიშებზე არანაკლებ რეზერვის თანხის 10%. ჯგუფი სადაზღვევო რეზერვების უზრუნველსაყოფად ძირითადად იყენებდა ფულის და ფულის ეკვივალენტებს და საბანკო დეპოზიტებს.

**5.3. ფინანსური რისკების მართვა**

ჯგუფი, თავის საქმიანობაში დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე: საკრედიტო რისკი; ლიკვიდურობის რისკი; საპროცენტო რისკი; სავალუტო რისკი.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ფინანსური ინსტრუმენტებს, რომლებიც ფინანსური რისკის წინაშე დგას.

	<b>2025</b>	<b>2024</b>
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,847	2,453
საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები	10,233	10,021
სხვა მოთხოვნები	187	379
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>13,267</b>	<b>12,853</b>
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,318	1,026
საიჯარო ვალდებულებები	528	199
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>1,846</b>	<b>1,225</b>

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

**5. რისკების მართვა (გაგრძელება)**

**ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება**

ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივის და ვალდებულებებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებით შეფასებისათვის ჯგუფი იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულებას ჯგუფი აფასებს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული)
- დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირი ან არაპირდაპირი ემპირიული მონაცემების მიხედვით, როგორცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს.
- დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე. თუ პირველ და მეორე დონეებში აღწერილი ემპირიული ფასები არ არსებობს, მაშინ ხდება შეფასების სხვა მეთოდების გამოყენება.

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების

თარიღისთვის. ჯგუფი ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და სათანადო შეფასებების მეთოდების გამოყენებით. სამართლიანი ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენება საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას. ჯგუფი ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთსა და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად. ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება გამომდინარეობს მომავალი ფულადი ნაკადიდან, რომელიც დისკონტირებულია ფულის ბაზრის მიმდინარე იმ საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის ფინანსური ინსტრუმენტებისთვის. ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომელიც არის ლიკვიდური და ხასიათდება მოკლევადიანობით უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

საიჯარო ვალდებულებების საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტების რეალური ღირებულება ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას. დისკონტირების განაკვეთი მერყეობს იჯარებისთვის 9.5%-დან 14%-მდე, საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტებისთვის 13%-დან 15.5%-მდე, რომელიც ემთხვევა საბაზრო განაკვეთს.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით. საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტების რეალური ღირებულება მეორე დონის მიხედვით, სხვა დანარჩენი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განსაზღვრულია მესამე დონის საფუძველზე.

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

**5. რისკების მართვა (გაგრძელება)**

**საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი წარმოადგენს ჯგუფის ფინანსური დანაკარგების რისკს იმ შემთხვევაში, ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. ჯგუფის საკრედიტო რისკი დაკავშირებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან და დამოკიდებულია თითოეული მომხმარებლის გადახდისუნარიანობაზე. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობას.

	2025	2024
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,847	2,453
საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები	10,233	10,021
სხვა მოთხოვნები	187	379
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>13,267</b>	<b>12,853</b>

ზემოთ მოცემული თანხები განთავსებულია საქართველოში რეგისტრირებულ კომერციულ ბანკებში.

აღნიშნული ბანკები ფლობენ საერთაშორისო ან რეგიონულ სარეიტინგო შეფასებებს, რომლებიც მერყეობს BB და B+ დიაპაზონში. ჯგუფის პოლიტიკა ითვალისწინებს ამ რეიტინგებს და მიზნად ისახავს ლიკვიდური, დივერსიფიცირებული და ფინანსურად სტაბილური ბანკების გამოყენებას კრედიტური კონცენტრაციის შესამცირებლად.

**ლიკვიდურობის რისკი**

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ ჯგუფი შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. ჯგუფი რისკებს აკონტროლებს ვალდებულებების ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს ფინანსურ სტრატეგიას. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, ჯგუფი ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფინანსური ვალდებულებების კატეგორიების ლიკვიდურობის ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი მათი დაფარვა. ამ ცხრილებში წარმოდგენილი თანხები შესაძლოა არ შეესაბამებოდეს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღრიცხულ თანხებს, რადგან ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს, რაც უთითებს ხელშეკრულების მიხედვით დარჩენილ მთლიან დაუდისკონტირებელ გადახდებს საპროცენტო დავალიანების ჩათვლით.

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,318	-	1,318
საიჯარო ვალდებულებები	222	461	683
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები-2025</b>	<b>1,540</b>	<b>461</b>	<b>2,001</b>
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,026	-	1,026
საიჯარო ვალდებულებები	176	38	214
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები-2024</b>	<b>1,202</b>	<b>38</b>	<b>1,240</b>

**საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად. ჯგუფის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

**5. რისკების მართვა (გაგრძელება)**

**საპროცენტო რისკი**

**საპროცენტო განაკვეთით განპირობებული ფულადი ნაკადების რისკი.** საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ ფინანსურ ინსტრუმენტებთან, მათი ცვლადი განაკვეთიდან გამომდინარე. ჯგუფს მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები.

**საპროცენტო განაკვეთით განპირობებული სამართლიანი ღირებულების რისკი საბანკო დეპოზიტებზე.** ჯგუფის ვადიანი დეპოზიტები წარმოადგენს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსურ აქტივებს, რომელთა მაქსიმალური ვადაა ერთი წელი. ვადიანი დეპოზიტების სამართლიანი ღირებულება ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკს, თუმცა ჯგუფი აკონტროლებს ამ რისკს დეპოზიტების მოკლევადიანი განთავსებით, რაც უზრუნველყოფს, რომ შესაძლო ცვლილებები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებში ფინანსურად არ მოახდენს არსებით გავლენას მათ სამართლიან ღირებულებებზე.

**სავალუტო რისკი**

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტები დენომინირებულია აშშ დოლარში. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ფინანსურ აქტივებს და ვალდებულებებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და სავალუტო რისკის მგრძობელობის ანალიზს.

	2025	2024
სხვა მოთხოვნები	-	94
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>-</b>	<b>94</b>
საიჯარო ვალდებულებები	91	97
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>91</b>	<b>97</b>
<b>წმინდა სავალუტო პოზიცია</b>	<b>(91)</b>	<b>(3)</b>

ჯგუფის მგრძობელობა აშშ დოლარის მიმართ 20%-იანი მატებისა და კლების პირობებში ქართულ ლართან მიმართებაში არის მოგება/(ზარალი) 18 ათასი ლარი (2024: 1 ათასი ლარი). სენსიტიურობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ფულად ერთეულებს. 20% არის მგრძობელობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას ხელმძღვანელობის მიერ. მგრძობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

**6. სადაზღვევო ამონაგები**

	2025	2024
კასკო	11,503	11,376
სამედიცინო	8,087	8,156
მესამე მხარის მიმართ პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა	2,361	2,434
სხვა ვალდებულება	2,510	2,178
<b>სულ</b>	<b>24,461</b>	<b>24,144</b>

ჯგუფი წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „სავალდებულო დაზღვევის ცენტრის“ საშუალებით განხორციელებულ თანადაზღვევის სისტემაში მონაწილე მზღვეველს. სხვა სადაზღვევო კონტრაქტები მოიცავს ქონების, პასუხისმგებლობის, უბედური შემთხვევის, სამოგზაურო, კარგოს და სხვა პასუხისმგებლობის დაზღვევას.

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

**7. სადაზღვევო მომსახურების ხარჯი**

	<u>2025</u>	<u>2024</u>
მომხდარი ზარალები	(17,376)	(16,509)
<b>ზარალების დარეგულირებასთან დაკავშირებული ხარჯები</b>		
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(1,538)	(1,329)
დარეგულირებასთან დაკავშირებული ხარჯები	(360)	(288)
გასული პერიოდების მომსახურებასთან დაკავშირებული ცვლილებები	252	700
წაგებიანი ხელშეკრულებების ზარალი და		
ამგვარი ზარალის აღდგენილი ოდენობა	(1,183)	1,494
პოლისების მოზიდვის ხარჯი	(2,257)	(1,846)
კაპიტაციის სერვისის ხარჯი	(858)	(780)
შემოსავალი რეგრესიდან და გადარჩენილი ქონებიდან	1,295	764
<b>სულ</b>	<b><u>(22,025)</u></b>	<b><u>(17,794)</u></b>

ჯგუფი რეგრესიდან მოთხოვნას აღიარებს მამინ როდესაც საიმედოდ შეაფასებს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს. რეგრესიდან შემოსავალი აღიარდება მოსალოდნელ ფულად ნაკადებში გადაზღვევის წილის გამოკლებით.

**8. გადაზღვევის ხელშეკრულებიდან მიღებული შედეგი**

	<u>2025</u>	<u>2024</u>
გადაზღვევის ხარჯი	(5,128)	(4,181)
გადაზღვევის წილი მომხდარი ზარალები	4,556	2,983
გასული პერიოდების მომსახურებასთან დაკავშირებული ცვლილებები	(67)	(233)
წაგებიანი ხელშეკრულებების ზარალის კომპენსაციის კომპონენტის აღდგენილი ოდენობა	-	(272)
<b>სულ</b>	<b><u>(639)</u></b>	<b><u>(1,703)</u></b>

**9. სხვა საოპერაციო ხარჯები**

	<u>2025</u>	<u>2024</u>
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(3,335)	(3,112)
საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურება	(509)	(491)
სარეკლამო ხარჯი	(378)	(425)
სავალდებულო დაზღვევის ცენტრის ხარჯი	(320)	(224)
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება	(162)	(170)
კომუნალურები	(71)	(67)
სხვა	(356)	(256)
<b>სულ</b>	<b><u>(5,131)</u></b>	<b><u>(4,745)</u></b>

საკონსულტაციო და სხვა პროფესიულ მომსახურებაში ფინანსურსი ანგარიშგების აუდიტის მომსახურების ხარჯი 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის შეადგენს შესაბამისად 87 ათასი ლარს გადასახადის ჩათვლით (2024: 114 ათასი ლარი).

**10. წმინდა საპროცენტო შემოსავალი**

	<u>2025</u>	<u>2024</u>
საპროცენტო შემოსავალი ფინანსური ინსტიტუტებიდან	1,584	1,611
სხვა მოთხოვნების ამორტიზაცია	13	51
საპროცენტო ხარჯი იჯარის ვალდებულებაზე	(37)	(30)
<b>სულ</b>	<b><u>1,560</u></b>	<b><u>1,632</u></b>

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

**11. ფული და ფულის ეკვივალენტები**

	<b>2025</b>	<b>2024</b>
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე	2,812	2,252
შეზღუდული ფული *	35	201
<b>სულ</b>	<b>2,847</b>	<b>2,453</b>

(\*) შეზღუდული ფული წარმოადგენს მომხმარებელთან გაფორმებული სადაზღვევო ხელშეკრულების საგარანტიო უზრუნველყოფას.

ჯგუფი არ აღიარებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებულ ფული და ფულის ეკვივალენტებზე არაარსებითობიდან გამომდინარე.

**12. საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები**

	<b>2025</b>	<b>2024</b>
მოთხოვნების მიმდინარე ნაწილი	9,000	8,800
დარიცხული პროცენტი	1,233	1,221
<b>წმინდა მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ</b>	<b>10,233</b>	<b>10,021</b>

საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები მოიცავს 3 თვეზე მეტი ვადით გახსნილ დეპოზიტებს საქართველოს რეზიდენტ ბანკებში. დეპოზიტები განთავსებულია ეროვნულ ვალუტაში. ჯგუფს მოეთხოვება საბანკო დაწესებულებებში დეპოზიტების (სავალდებულო რეზერვი) და ფულადი სახსრების ქონა, რომლის ოდენობაც დამოკიდებულია სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოქმნილი რეზერვების სიდიდეზე. ჯგუფის უფლება ამგვარი დეპოზიტის თავისუფალ განკარგვასთან დაკავშირებით იზღუდება კანონმდებლობით.

ჯგუფი არ აღიარებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებულ დეპოზიტებზე არაარსებითობიდან გამომდინარე.

**13. სხვა მოთხოვნები**

	<b>2025</b>	<b>2024</b>
სავაჭრო მოთხოვნები	-	93
მოთხოვნები ბროკერის მიმართ	154	154
სხვა მოთხოვნები	33	132
<b>სულ ფინანსური მოთხოვნები</b>	<b>187</b>	<b>379</b>
მოთხოვნები რეგრესიებიდან	336	211
გადახდილი ავანსები	78	98
საგადასახადო აქტივი	36	32
<b>სულ არაფინანსური მოთხოვნები</b>	<b>450</b>	<b>341</b>
<b>სულ</b>	<b>637</b>	<b>720</b>

ჯგუფი განიხილავს წარსულ გამოცდილებას და რეგრესიიდან მოთხოვნას აღიარებს მაშინ, როდესაც საიმედოდ შეაფასებს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს. რეგრესიიდან მოთხოვნები აღიარდება მოსალოდნელ ფულად ნაკადებში გადაზღვევის წილის გამოკლებით.

ჯგუფი არ აღიარებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს სხვა მოთხოვნებში წარდგენილ ფინანსურ აქტივებზე, რადგან არ გააჩნია აღნიშნული მოთხოვნების საკრედიტო გაუფასურების გამოცდილება. სავაჭრო მოთხოვნები უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით.

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

**14. ძირითადი საშუალებები**

ისტორიული ღირებულება	შენიშვნები	კომპიუტერული ტექნიკა	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	ქონების კეთილმოწყობა	სულ
<b>31.12.2023</b>	<b>545</b>	<b>649</b>	<b>315</b>	<b>72</b>	<b>52</b>	<b>1,633</b>
შემოსვლა	-	22	11	-	2	35
გასვლა	-	-	-	(11)	-	(11)
<b>31.12.2024</b>	<b>545</b>	<b>671</b>	<b>326</b>	<b>61</b>	<b>54</b>	<b>1,657</b>
შემოსვლა	-	57	9	22	-	88
გასვლა	-	(87)	(5)	(23)	-	(115)
<b>31.12.2025</b>	<b>545</b>	<b>641</b>	<b>330</b>	<b>60</b>	<b>54</b>	<b>1,630</b>
<b>დაგროვილი ცვეთა</b>						
<b>31.12.2023</b>	<b>(117)</b>	<b>(610)</b>	<b>(279)</b>	<b>(17)</b>	<b>(24)</b>	<b>(1,047)</b>
ცვეთა	(15)	(14)	(22)	(6)	(8)	(65)
გასვლა	-	-	-	9	-	9
<b>31.12.2024</b>	<b>(132)</b>	<b>(624)</b>	<b>(301)</b>	<b>(14)</b>	<b>(32)</b>	<b>(1,103)</b>
ცვეთა	(14)	(18)	(17)	(6)	(6)	(61)
გასვლა	-	87	5	6	-	98
<b>31.12.2025</b>	<b>(146)</b>	<b>(555)</b>	<b>(313)</b>	<b>(14)</b>	<b>(38)</b>	<b>(1,066)</b>
<b>საბალანსო ღირებულება</b>						
<b>31.12.2024</b>	<b>413</b>	<b>47</b>	<b>25</b>	<b>47</b>	<b>22</b>	<b>554</b>
<b>31.12.2025</b>	<b>399</b>	<b>86</b>	<b>17</b>	<b>46</b>	<b>16</b>	<b>564</b>

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

**15. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები**

ჯგუფის საიჯარო ხელშეკრულებები, რომლისთვისაც აღიარებულია აქტივების გამოყენების უფლება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოიცავს სათაო და გაყიდვების ოფისის იჯარას. სათაო ოფისის იჯარა მიღებულია დაკავშირებული მხარისგან. იჯარის სახელშეკრულებო პერიოდი მოიცავს 60 თვიან პერიოდს სათაო ოფისისთვის და 18 თვიან პერიოდს გაყიდვების ოფისისთვის. ხელშეკრულების განახლების უფლება გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს იჯარის ვადას, ზღვრული სასესხო განაკვეთს და საიჯარო გადასახდელებს 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იმ საიჯარო ხელშეკრულებებისთვის, რომლისთვისაც აღიარებულია აქტივის გამოყენების უფლება.

ოფისი	არაგაუქმებადი პერიოდი	გაგრძელების უფლების გამოყენება	იჯარის ვადა	დისკონტის განაკვეთი	ვალუტა	საიჯარო გადასახდელი თვეში (ნომინალი)
გაყიდვები	2 თვე	10 თვე	12 თვე	9.3%	აშშ დოლარი	2,966
სათაო	2 თვე	54 თვე	56 თვე	14%	ლარი	10,487

ხელმძღვანელობა გონივრულად ვარაუდობს გაგრძელების უფლების გამოყენებას სახელშეკრულებო ვადის ბოლომდე, რადგან აღნიშნული ხელშეკრულების გაწყვეტით ჯგუფი მიიღებს მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზიანს. ჯგუფს არ გააჩნია მსგავსი მახასიათებლების მქონე მიღებული სესხები მიმდინარე ან შესადარის პერიოდში. სესხის პროცენტის განსაზღვრისთვის გამოიყენა დაკვირვებადი საბაზრო მონაცემები მსგავსი სექტორისთვის. ჯგუფის იჯარის ხელშეკრულება განსაზღვრავს ფიქსირებულ საიჯარო გადასახდელებს მთელი პერიოდისთვის.

ჯგუფს აქვს მოკლევადიანი იჯარები, რომელიც ძირითადად უკავშირდება გაყიდვების ოფისებს. ასეთი იჯარების შეუქცევადი პერიოდი მერყეობს 7 დღიდან 180 დღემდე. მინიმალური საიჯარო გადასახდელები მოკლევადიანი იჯარების შეუქცევადი პერიოდისთვის ჯამურად არაარსებითია. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ასეთი იჯარების ჩანაცვლება მოკლევადიან პერიოდში მნიშვნელოვანი ჯარიმების გარეშე ადვილად შესაძლებელია.

2025 წელს ჯგუფმა გააფორმა იჯარის ხელშეკრულებების ცვლილებები, რაც დაკავშირებული იყო იჯარის ვადების გაგრძელებასთან. სათაო ოფისის შემთხვევაში, ცვლილება ასევე მოიცავდა საიჯარო გადახდების გადახედვას, ხოლო გაყიდვების ოფისის შემთხვევაში ცვლილება შეეხო მხოლოდ იჯარის ვადის გაგრძელებას. აღნიშნული ცვლილებები ჯგუფმა აღრიცხა, როგორც იჯარის მოდიფიკაცია. შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია განმარტებით შენიშვნაში 3.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს აქტივების გამოყენების უფლების მოძრაობას.

	გაყიდვების ოფისი	სათაო ოფისი	სულ
<b>31.12.2023</b>	<b>135</b>	<b>153</b>	<b>288</b>
იჯარის საწყისი აღიარება	74	-	74
ამორტიზაცია	(125)	(60)	(185)
<b>31.12.2024</b>	<b>84</b>	<b>93</b>	<b>177</b>
იჯარის მოდიფიკაცია	134	400	534
ამორტიზაცია	(131)	(43)	(174)
<b>31.12.2025</b>	<b>87</b>	<b>450</b>	<b>537</b>

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

**15. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები (გაგრძელება)**

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს საიჯარო ვალდებულების მოძრაობას.

	<u>გაყიდვების ოფისი</u>	<u>სათაო ოფისი</u>	<u>სულ</u>
<b>31.12.2023</b>	<b>126</b>	<b>160</b>	<b>286</b>
იჯარის საწყისი აღიარება	74	-	74
საპროცენტო ხარჯი	13	17	30
გადახდა	(132)	(75)	(207)
საკურსო სხვაობა	16	-	16
<b>31.12.2024</b>	<b>97</b>	<b>102</b>	<b>199</b>
იჯარის მოდიფიკაცია	134	400	534
საპროცენტო ხარჯი	10	27	37
გადახდა	(147)	(92)	(239)
საკურსო სხვაობა	(3)	-	(3)
<b>31.12.2025</b>	<b>91</b>	<b>437</b>	<b>528</b>

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს საიჯარო ვალდებულების განაწილებას ვადიანობის მიხედვით.

	<u>გაყიდვების ოფისი</u>	<u>სათაო ოფისი</u>	<u>სულ</u>
ვალდებულების მოკლევადიანი ნაწილი	91	117	208
ვალდებულების გრძელვადიანი ნაწილი	-	320	320
<b>სულ 2025</b>	<b>91</b>	<b>437</b>	<b>528</b>
ვალდებულების მოკლევადიანი ნაწილი	97	71	168
ვალდებულების გრძელვადიანი ნაწილი	-	31	31
<b>სულ 2024</b>	<b>97</b>	<b>102</b>	<b>199</b>

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

**16. სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ვალდებულებები**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია სადაზღვევო ხელშეკრულების ვალდებულებების მოძრაობა.

	დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება		დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულება		სულ
	წაგებიანი ხელშეკრულების კომპონენტის გარეშე	წაგებიანი ხელშეკრულების კომპონენტი	დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები	არაფინანსური რისკის კორექტირება	
<b>31.12.2023</b>	<b>28</b>	<b>(1,494)</b>	<b>(4,398)</b>	<b>(171)</b>	<b>(6,035)</b>
სადაზღვევო ამონაგები	24,144	-	-	-	24,144
<b>სადაზღვევო მომსახურების ხარჯი</b>					
მომხდარი ზარალები	-	-	(16,249)	(260)	(16,509)
ზარალების დარეგულირებასთან დაკავშირებული ხარჯები	-	-	(1,617)	-	(1,617)
გასული პერიოდების მომსახურებასთან დაკავშირებული ცვლილებები	-	-	568	132	700
წაგებიანი ხელშეკრულებების ანარიცხის აღდგენა	-	1,494	-	-	1,494
საკურსო სხვაობის გავლენა	147	-	-	-	147
<b>მთლიანი ცვლილება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში</b>	<b>24,291</b>	<b>1,494</b>	<b>(17,298)</b>	<b>(128)</b>	<b>8,359</b>
მიღებული სადაზღვევო პრემია	(24,476)	-	-	-	(24,476)
გადახდილი ზარალები	-	-	16,362	-	16,362
ზარალების დარეგულირებასთან დაკავშირებული ხარჯების გადახდა	-	-	1,610	-	1,610
<b>31.12.2024</b>	<b>(157)</b>	<b>-</b>	<b>(3,724)</b>	<b>(299)</b>	<b>(4,180)</b>
სადაზღვევო ამონაგები	24,461	-	-	-	24,461
<b>სადაზღვევო მომსახურების ხარჯი</b>					
მომხდარი ზარალები	-	-	(16,928)	(448)	(17,376)
ზარალების დარეგულირებასთან დაკავშირებული ხარჯები	-	-	(1,898)	-	(1,898)
გასული პერიოდების მომსახურებასთან დაკავშირებული ცვლილებები	-	-	29	223	252
ზარალი წაგებიანი ხელშეკრულებებიდან	-	(1,183)	-	-	(1,183)
საკურსო სხვაობის გავლენა	(25)	-	-	-	(25)
<b>მთლიანი ცვლილება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში</b>	<b>24,436</b>	<b>(1,183)</b>	<b>(18,797)</b>	<b>(225)</b>	<b>4,231</b>
მიღებული სადაზღვევო პრემია	(24,806)	-	-	-	(24,806)
გადახდილი ზარალები	-	-	17,260	-	17,260
ზარალების დარეგულირებასთან დაკავშირებული ხარჯების გადახდა	-	-	1,878	-	1,878
<b>31.12.2025</b>	<b>(527)</b>	<b>(1,183)</b>	<b>(3,383)</b>	<b>(524)</b>	<b>(5,617)</b>

**16. სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ვალდებულებები (გაგრძელება)**

წაგებიანი ხელშეკრულებების კომპონენტი. თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის ჯგუფი აფასებს, არის თუ არა სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელი წაგებიანი. 2025 წლის განმავლობაში ჯგუფმა დაადგინა, რომ ჯანმრთელობის დაზღვევის პორტფელი, წარმოქმნილი 2025 წლის მოზიდვებიდან, იყო წაგებიანი, რის საფუძველზეც აღიარა წაგებიანი ხელშეკრულებების კომპონენტი. აღნიშნული კომპონენტი ასახავს იმ თანხას, რომლის ოდენობითაც მოსალოდნელი სადაზღვევო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული დანახარჯები და სხვა დაკავშირებული ფულადი ნაკადები აღემატება შესაბამისი პრემიის შემოსავალს. წაგებიანი ხელშეკრულებების კომპონენტი აღიარებულია დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულების ფარგლებში და სისტემატურად მცირდება იმ პერიოდის განმავლობაში, როცა ჯგუფი აღიარებს შესაბამის სადაზღვევო მომსახურების შედეგს. წაგებიანი ხელშეკრულებების იდენტიფიკაცია და შეფასება ეფუძნება განახლებულ შეფასებებს მომავალი ფულადი ნაკადების შესახებ, მათ შორის ზარალების, ხარჯებისა და სხვა შესაბამისი ფაქტორების გათვალისწინებით. შეფასებები გადაიხედება თითოეულ საანგარიშგებო თარიღზე. ჯგუფი რეგულარულად აკვირდება აღნიშნულ პორტფელს და ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს რისკის მართვის მიზნით, მათ შორის ტარიფების, ანდერაიტინგის პოლიტიკისა და ხელშეკრულების პირობების გადახედვას. წაგებიანი ხელშეკრულებების კომპონენტი მოიცავს არაფინანსური რისკის კორექტირებას 585 ათას ლარს.

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

**17. გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი აქტივები და ვალდებულებები**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი აქტივების და ვალდებულებების მოძრაობა.

	დარჩენილი გადაზღვევის პერიოდის აქტივი/(ვალდებულება)		დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი გადაზღვევის აქტივი/(ვალდებულება)		სულ
	წაგებიანი ხელშეკრულებების კომპენსაციის კომპონენტის გარეშე	წაგებიანი ხელშეკრულებების ზარალის კომპენსაციის კომპონენტი	დამდგარ სადაზღვევო შემთხვევებში გადაზღვევის წილი	არაფინანსური რისკის კორექტირება	
გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი აქტივები	398	272	591	63	1,324
გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	(88)	-	(1,485)	-	(1,573)
<b>31.12.2023</b>	<b>310</b>	<b>272</b>	<b>(894)</b>	<b>63</b>	<b>(249)</b>
გადაზღვევის ხარჯი	(4,181)	-	-	-	(4,181)
<b>გადაზღვევის ხელშეკრულებიდან მიღებული შედეგი</b>					
გადაზღვევის წილი მომხდარი ზარალები	-	-	2,951	32	2,983
გასული პერიოდების მომსახურებასთან დაკავშირებული ცვლილებები	-	-	(173)	(60)	(233)
წაგებიანი ხელშეკრულებების ზარალის კომპენსაციის კომპონენტის ამოტრიალება	-	(272)	-	-	(272)
რეგრესში და გადარჩენილი ქონებიდან გადამზღვევლის წილის ვალდებულების აღიარების შეწყვეტა (შენიშვნა 20)	-	-	1,771	-	1,771
საკურსო სხვაობის გავლენა	(68)	-	-	-	(68)
<b>მთლიანი ცვლილება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში</b>	<b>(4,249)</b>	<b>(272)</b>	<b>4,549</b>	<b>(28)</b>	<b>-</b>
გადახდილი გადაზღვევის პრემია	3,300	-	-	-	3,300
დაფარული გადამზღვევლის წილი დამდგარ ზარალებში	-	-	(3,283)	-	(3,283)
<b>31.12.2024</b>	<b>(639)</b>	<b>-</b>	<b>372</b>	<b>35</b>	<b>(232)</b>
გადაზღვევის ხარჯი	(5,128)	-	-	-	(5,128)
<b>გადაზღვევის ხელშეკრულებიდან მიღებული შედეგი</b>					
გადაზღვევის წილი მომხდარი ზარალები	-	-	4,488	68	4,556
გასული პერიოდების მომსახურებასთან დაკავშირებული ცვლილებები	-	-	(39)	(28)	(67)
საკურსო სხვაობის გავლენა	66	-	-	-	66
<b>მთლიანი ცვლილება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში</b>	<b>(5,062)</b>	<b>-</b>	<b>4,449</b>	<b>40</b>	<b>(573)</b>
გადახდილი გადაზღვევის პრემია	4,165	-	-	-	4,165
დაფარული გადამზღვევლის წილი დამდგარ ზარალებში	-	-	(4,556)	-	(4,556)
<b>31.12.2025</b>	<b>(1,536)</b>	<b>-</b>	<b>265</b>	<b>75</b>	<b>(1,196)</b>

ჯგუფი ჯანმრთელობის დაზღვევის პორტფელზე არ იყენებს გადაზღვევას, შესაბამისად, აღნიშნულ პორტფელთან მიმართებით არ არის აღიარებული ზარალის კომპენსაციის კომპონენტი

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

**18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

	2025	2024
სავაჭრო ვალდებულებები კაპიტაციის ვალდებულების ჩათვლით	606	519
გადასახდელი ხელფასები	336	316
ვალდებულება პოლისების მოზიდვიდან	126	138
სხვა ვალდებულება	250	53
<b>სულ</b>	<b>1,318</b>	<b>1,026</b>

**19. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან**

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	2025			2024		
	დედა კომპანია	საერთო კონტროლი	სულ	დედა კომპანია	საერთო კონტროლი	სულ
სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	511	187	698	302	328	630
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	250	502	752	24	432	456
საიჯარო ვალდებულებები	437	-	437	102	-	102
<b>ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან</b>						
სადაზღვევო ამონაგები	1,628	2,075	3,703	1,393	1,736	3,129
სადაზღვევო მომსახურების ხარჯი	(1,346)	(2,391)	(3,737)	(1,306)	(2,292)	(3,598)
საპროცენტო ხარჯი	(27)	-	(27)	(17)	-	(17)

საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიები მოიცავს ჯგუფის მშობელი საწარმოს სხვა შვილობილ კომპანიებს და მეკავშირე საწარმოს (აღნიშნულ მეკავშირე საწარმოსთან ოპერაციები არაარსებითია).

**ურთიერთობები დაკავშირებულ მხარეებთან.** ჯგუფი ახორციელებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებიც წარმოადგენენ ჯგუფის მშობელ და სხვა შვილობილ კომპანიებს. აღნიშნული ოპერაციები ხორციელდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში და მოიცავს სადაზღვევო მომსახურებასთან დაკავშირებულ ტრანზაქციებს. კერძოდ, ჯგუფის მშობელი საწარმო ახორციელებს ფარმაცევტულ საქმიანობას და ფლობს აფთიაქების ქსელს. ჯანმრთელობის დაზღვევის ფარგლებში დაზღვეულთა მიერ გაწეული სამედიცინო ზარალების ანაზღაურება ნაწილობრივ ხორციელდება მშობელი საწარმოსგან წამლების შეძენის გზით. ამასთანავე, ჯგუფის სხვა დაკავშირებული მხარეები (მშობელი საწარმოს შვილობილი კომპანიები) ოპერირებენ სამედიცინო დაწესებულებებს (საავადმყოფოებს), საიდანაც ჯგუფი ახორციელებს სამედიცინო მომსახურების შესყიდვას დაზღვეული პირებისთვის სადაზღვევო შემთხვევების დადგომისას.

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთების დაფარვა ხორციელდება ფული და ფულის ეკვივალენტებით, ურთიერთჩათვლებით და სამმხრივი ჩათვლებით. ჯგუფი დაკავშირებული მხარეებიდან სადაზღვევო ზარალებზე იღებს ფასდაკლებას.

დაკავშირებული მხარეების თანამშრომლები დაზღვეულნი არიან ჯგუფში კორპორატიული ჯანმრთელობის დაზღვევის ხელშეკრულებების ფარგლებში. აღნიშნული ხელშეკრულებები კლასიფიცირდება როგორც დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული სადაზღვევო ოპერაციები, ხოლო მათგან მიღებული პრემია აღიარებულია ჯგუფის ამონაგებად. ამავდროულად, დაზღვეული პირების მიერ სადაზღვევო მომსახურების მიღება, მათ შორის ზარალების ანაზღაურება, არ განიხილება პირდაპირ დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებულ ტრანზაქციად, ვინაიდან ბენეფიციარები წარმოადგენენ დამოუკიდებელ მესამე პირებს. თუმცა, იმ შემთხვევებში, როდესაც სამედიცინო მომსახურება ან მედიკამენტები მიწოდებულია დაკავშირებული მხარეების მიერ (მათ შორის, მშობელი ან მისი შვილობილი კომპანიების მიერ), ასეთი ოპერაციები კლასიფიცირდება როგორც დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული შესყიდვები, სადაც დაკავშირებული მხარე მოქმედებს როგორც მომსახურების ან საქონლის მომწოდებელი.

უმაღლეს ხელმძღვანელ პირთა ანაზღაურება 2025 წელს შეადგენს 370 ათას ლარს (2024: 374 ათასი ლარი).

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

**20. პირობითი და სახელშეკრულებო ვალდებულებები**

**პირობითი ვალდებულებები** : ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს სასამართლო დავების შეჯერებას 2024 წლის 31 დეკემბრიდან 2025 წლის 31 დეკემბრამდე:

	სადაზღვევო ზარალების რეზერვი	პირობითი ვალდებულება	სულ დავის თანხა
<b>31.12.2024</b>	325	751	<b>1,076</b>
შეფასების ცვლილება	47	(23)	<b>24</b>
<b>დასრულებული დავების ეფექტი</b>			
ანაზღაურებული	(144)	(14)	<b>(158)</b>
გაუქმებული	(28)	(153)	<b>(181)</b>
	<b>200</b>	<b>561</b>	<b>761</b>
ახალი დავების ეფექტი	76	88	<b>164</b>
<b>31.12.2025</b>	<b>276</b>	<b>649</b>	<b>925</b>

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს, როგორც მოპასუხეს, გააჩნია სასამართლო დავები, რომლებიც უკავშირდება: სადაზღვევო ზარალის ანაზღაურებას და უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციით მიღებულ ზიანს. მოსარჩელე მხარეების მიერ მოთხოვნილი ჯამური თანხა შეადგენს 925 ათას ლარს საიდანაც 446 ათასი უკავშირდება სადაზღვევო ზარალის ანაზღაურებას, ხოლო 479 ათასი უკავშირდება უზრუნველყოფის საგნის დასაკუთრებით მიღებულ ზიანს.

ხელმძღვანელობის შეფასებით უზრუნველყოფის საგნის დასაკუთრებით მიღებულ ზიანის ანაზღაურებაზე დავა დასრულდება ჯგუფის სასარგებლოდ. დავის არასასურველი შედეგით დასრულების შემთხვევაში, ხელმძღვანელობა ვარაუდობს მომჩივანს მხარეს საკუთრებაში გადასცეს დასაკუთრებული უძრავი ქონება. დავის არასასურველი სცენარით დასრულების შემთხვევაშიც კი, ჯგუფიდან არ არის მოსალოდნელი ეკონომიკური რესურსების გასვლა, რადგან დასაკუთრებული ქონება არ არის აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში. აღნიშნული დავისთვის არ არის ანარიცხი აღიარებული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

**სხვა შემოსავალი** - 2024 წელს ჯგუფმა შეთანხმების საფუძველზე შეწყვიტა ურთიერთობა ფინანსური რისკების გადამზღვევლებთან. შეთანხმების შესაბამისად, ჯგუფმა და გადამზღვევლებმა განახორციელეს საბოლოო ურთიერთანგარიშსწორება შეთანხმების აქტში დაფიქსირებული თანხის შესაბამისად ასეთის არსებობის შემთხვევაში. შეთანხმების მიხედვით, მხარეები ერთმანეთს ვეღარ წაუყენებ დამატებით პრეტენზიებს დამატებითი თანხების მოთხოვნასთან დაკავშირებით. აღნიშნული შეთანხმების საფუძველზე განხორციელებული საბოლოო ანგარიშსწორების შემდეგ ჯგუფმა შეწყვიტა დარჩენილი ვალდებულების წმინდა ნაშთის აღიარება, რაც წარადგინა სხვა შემოსავალში ჯამურად 1,771 ათასი ლარი.

გადამზღვევლების მხრიდან შესაძლებელია განხორციელდეს შეთანხმების სხვაგვარი ინტერპრეტაციები, რომელიც განსხვავდება ხელმძღვანელობის ინტერპრეტაციებისგან, რამაც შესაძლებელია განაპირობოს სასამართლო დავა გადამზღვევლებთან. სხვა შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნა ვალდებულების წმინდა ნაშთის აღიარების შეწყვეტით, წარმოადგენს პირობით ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად და მისი არსებობა დადასტურდება მხოლოდ ერთი ან მეტი განუსაზღვრელი მოვლენის მომავალში მოხდენით ან არმოხდენით, რომელიც მთლიანად არ ექვემდებარება ჯგუფის კონტროლს.

**გადასახადები** - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოს ინტერპრეტაციებისაგან, ჯგუფის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოს მიერ და ჯგუფს დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. ჯგუფს მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. სასაგადასახადო ორგანოს შეუძლია მიმოიხილოს ჯგუფის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

**20. პირობითი და სახელშეკრულებო ვალდებულებები (გაგრძელება)**

**საზედამხედველო მოთხოვნები და მინიმალური კაპიტალი**

საზედამხედველო კაპიტალის გამოთვლის პროცესი ხორციელდება მოქმედი რეგულაციების შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს მინიმალური კაპიტალის მოთხოვნებს. თუმცა, ფასს 17 „სადაზღვევო ხელშეკრულების“ ძალაში შესვლის შემდეგ, საზედამხედველო ინფორმაციის წარსადგენი ფორმები, სრულად არ არის ჰარმონიზებული ამ ახალ სტანდარტთან, რაც იწვევს განსხვავებული ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.

ხელმძღვანელობა ეყრდნობა საზედამხედველო ფორმების შევსების არსებულ პრაქტიკას და მიაჩნია რომ ჯგუფი აკმაყოფილებს მინიმალური კაპიტალის მოთხოვნას საანგარიშგებო პერიოდისათვის. თუმცა, მისი დისკრეციული შესაძლებლობიდან გამომდინარე, საქმიანობის ზედამხედველობის სამსახურმა შესაძლოა ჯგუფის გაანგარიშებული საზედამხედველო კაპიტალი მიიჩნიოს არასწორედ რაც მინიმალური კაპიტალის დარღვევის შემთხვევაში გამოიწვევს კომპანიის დაჯარიმებას 50 ათასი ლარის ოდენობით და ამ შემთხვევაში ჯგუფი ვალდებული იქნება გაზარდოს კაპიტალი არანაკლებ მინიმალური კაპიტალის ტოლ თანხამდე (7,200 ათასი ლარი), რომელიც განთავსებული უნდა იყოს საბანკო დეპოზიტზე არანაკლებ 1 წლის ვადით.

დამატებითი ინფორმაციის სახით ქვემოთ წარმოდგენილია ცხრილი, რომელიც ასახავს არსებით განსხვავებებს საზედამხედველო კაპიტალს და ფასს 17-ის მოთხოვნების გათვალისწინებით განსაზღვრულ კაპიტალს შორის. ცხრილში აღნიშნულია ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტები, რომლებიც გავლენას ახდენენ კაპიტალის გამოთვლის პროცესზე, მათ შორის ისეთი კომპონენტები, რომლებიც არ ითვალისწინებდა IFRS 4-ს, მაგრამ გათვალისწინებულია IFRS 17-ში.

	საზედამხედველო მოთხოვნები	ფასს 17	სხვაობა	სხვაობის თანხა
წაგებიანი კონტრაქტები	შეფასება ხორციელდება ადეკვატურობის ტესტის საფუძველზე	მოიცავს კომპლექსურ შეფასებას, მათ შორის რისკის შესწორებას და საუკეთესო შეფასებას	ფასს 17 მოიცავს დამატებით კომპონენტებს, რაც არაა გათვალისწინებული საზედამხედველო კაპიტალის გაანგარიშებაში	(1,183)
საკრედიტო რისკის შესწორება/ მოთხოვნების გაუფასურება	მოთხოვნების გაუფასურება	საკრედიტო რისკის შესწორება	ფასს 17-ში გათვალისწინებულია საკრედიტო რისკის შესწორება, რომლის შეფასება აღემატება საზედამხედველო მიზნებისთვის მოთხოვნების გაუფასურების შეფასებას.	(600)
არაფინანსური რისკის კორექტირება	არ გამოიყენება	გამოიყენება	არაფინანსური რისკის კორექტირება - არ არის გათვალისწინებული საზედამხედველო კაპიტალში, თუმცა იგი წარმოადგენს მნიშვნელოვან ელემენტს ფასს 17-ში, რომელიც ასახავს გაურკვეველობას მომავალი ფულადი ნაკადების მიმართ.	(449)

**სხვა** - ჯგუფი ვალდებულია სახელმწიფო საპენსიო სქემაში ჩართული თანამშრომლის სასარგებლოდ საპენსიო სააგენტოში გადარიცხოს სახელფასო ანაზღაურების 2%. 2025 დადგენილშენატანიანი პროგრამებისთვის ხარჯად აღიარებული თანხა შეადგენს 114 ათას ლარს (2024 წელი: 104 ათასი ლარი).

**21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები**

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არ მომხდარა არსებითი ბალანსის შემდგომი მოვლენები

სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“ ჯგუფი

## კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

### კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

ჯგუფი ამზადებს კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც გამოხატავს მშობელი საწარმოს ინდივიდუალურ მმართველობით ანგარიშგებას. სხვაობა ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებებს შორის არის არაარსებითი.

### სუბიექტის განვითარების გეგმები

სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“ დაარსდა 2009 წელს და 14 წელია ეწევა სადაზღვევო საქმიანობას საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე. კომპანია დაარსების დღიდან ფლობს როგორც სამედიცინო დაზღვევის ასევე არასამედიცინო დაზღვევის ლიცენზიას და აქტიურად ახორციელებს ორივე სფეროში მოღვაწეობას.

სადაზღვევო ბაზრის ინდუსტრია ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად იზრდება. ალფა დაზღვევის ზრდის მაჩვენებელში გარკვეულწილად ასახულია სადაზღვევო ბაზრის მოვლენები, მაგრამ აქვე აღსანიშნია მნიშვნელოვანი ცვლილებები კომპანიის სტრატეგიაში, რამაც გამოიწვია კომპანიის განვითარების მაჩვენებლების გადახრა ზოგადი მონაცემებიდან.

სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“ საანგარიგებო პერიოდში აგრძელებს საქმიანობას დაზღვევის სხვადასხვა სახეობაში. 2025 წელს სს სადაზღვევო კომპანია ალფამ აქტიურად აგრძელებს გასულ წელს დაწყებულ ელექტრონული სისტემის დანერგვას, რასაც ასევე ემატება ახალი აპლიკაციის დანერგვა, რაც მნიშვნელოვნად გაამარტივებს დაზღვეულთა ურთიერთობას კომპანიასთან, გამარტივდება დოკუმენტების ბრუნვა, დაზღვეული მიიღებს სწრაფად ინფორმაციას და გაეცნობა სიახლეებს ერთი აპლიკაციის საშუალებით, ასევე კომპანია მუშაობს პროგრამული სიახლეების დანერგვაზე.

კომპანიამ 2022 წლის აპრილის თვიდან მოახდინა სს „სადაზღვევო კომპანია ალფას“ რებრენდინგი და მომხმარებელს წარუდგინა ალფა დაზღვევის კონცეფცია, რომლის ძირითადი გზავნილია დაზღვევა, როგორც თანამედროვე, მარტივი და ყოველთვის გვერდში მდგომი მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე პროდუქტი. ახალმა სარეკლამო კამპანიამ მოიგვა უამრავი სოციალური ქსელი, რამაც ასახვა პოვა საცალო პოლისების გაყიდვების ზრდის მიმართულებით.

2025 წელს ჯგუფი ახორციელებდა აქტიურ სარეკლამო ღონისძიებებს კამპანიას რითაც სურს გაზარდოს დაზღვევის ინფორმაციულობა საზოგადოებაში და ალფა დაზღვევა ჩამოაყალიბოს როგორც, სადაზღვევო კომპანია რომელიც ნებისმიერ დროს მოაგვარებს თავისი დაზღვეულების უსიამოვნებებს.

### ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ

2025 წელს სს სადაზღვევო კომპანია ალფას აქვს მოქმედი ფილიალები და სერვისცენტრები თბილისში და ბათუმში.

2024 და 2025 წელს სადაზღვევო კომპანია ალფამ განახორციელა რიგი ღონისძიებები ბათუმის ბაზრის ასათვისებლად, მოზიდვების გასაზრდელად აქტიური ღონისძიებების ტარებას კომპანია გეგმავს 2026 წელსაც.

### კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

ამ მიმართულებით ჯგუფში 2025 წელს არ ჩატარებულა შესაბამისი ღონისძიებები.

### აუცილებელი ძირითადი ხარისხობრივი და არაფინანსური მაჩვენებლები

2025 წლის განმავლობაში ჯგუფში განხორციელდა ცვლილებები, ფინანსური და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით. კერძოდ:

- საანგარიშო პერიოდში, გასული წლის მსგავსად, შენარჩუნდა სამედიცინო და არასამედიცინო დაზღვევის მიმართულებით არსებულ ძირითად სადაზღვევო პროდუქტებზე კონცენტრაცია. ჯგუფის 2025 წლის სადაზღვევო ამონაგების 80% მოდის კასკო და სამედიცინო დაზღვევაზე (2024: 81%). ჯგუფი ორიენტირებულია ტრადიციულ სადაზღვევო პროდუქტებთან ერთად გაზარდოს სხვა სადაზღვევო პროდუქტები და გეგმავს ღონისძიებებს სადაზღვევო პროდუქტების ცნობადობის გაზრდის მიზნით.
- ფუნქციონირებას აგრძელებს დებიტორების მართვის სამსახური, რომელიც მართავს როგორც დებიტორული, ასევე რეგრესულ მოთხოვნებს; შედეგად უმჯობესდება საკრედიტო რისკის მართვა.
- სადაზღვევო კომპანია ალფა აგრძელებს საერთაშორისო ურთიერთობებს, კერძოდ 2025 წლის

სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“ ჯგუფი

**კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება**

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

---

ბოლოს კომპანია თანამშობლობს მსხვილ, მაღალრეიტინგულ გადამზეველთან;

- კომპანია გეგმავს ახალი სადაზღვევო პროგრამის დანერგვას. დანერგვის პროცესში შექმნილი სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც მოიცავს ყველა განყოფილებიდან წევრს, აქტიურად აგრძელებს მუშაობას. ჯგუფის მიზანია გაანალიზოს აქამდე არსებული პროგრამის ტექნიკური მახასიათებლები, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები და შექმნას კონკრეტული დავალებები, რაც უნდა იყოს ახალ პროგრამაში სამუშაო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.
- 2025 წელს კომპანია აგრძელებს ურთიერთობას სავალდებულო დაზღვევის ცენტრთან. ცენტრმა კომპანიას მოუტანა დამატებით ამონაგები 2,361 ათასი ლარი (2024: 2,434 ათასი ლარი) და მოგება 1,747 ათასი ლარი (2024: 1,986 ათასი ლარი). შემცირება ძირითადად განაპირობა სავალდებულო დაზღვევის სქემაში მონაწილე სადაზღვევო კომპანიების რაოდენობის შეადგენს 19-ს.



**კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება**

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

**ინფორმაცია თანამშრომლების შესახებ**

თანამშრომლების საშუალო რაოდენობა 2025 წელს შეადგენს 170 (2024: 161)

**ინფორმაცია წილის და აქციების შეძენის შესახებ**

ჯგუფს 2025 წლის განმავლობაში არ განუხორციელებია წილისა და აქციების შეძენა.

**წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები**

2025 წლის მიმდინარე აქტივების შეფარდება მიმდინარე ვალდებულებებთან 167%-ს შეადგენს (2024: 237%), რაც იმას გულისხმობს, რომ ჯგუფს მოკლევადიან პერიოდში აქვს შესაძლებლობა დაფაროს ვალდებულებები. აღნიშნული კოეფიციენტი შემცირდა გასულ წელთან შედარებით, რაც ძირითადად განაპირობა უარყოფითმა საოპერაციო შედეგმა მათ შორის წაგებიანი ხელშეკრულების ანარიცხვის აღიარებამ.

$$\text{მიმდინარე კოეფიციენტი} = (\text{მიმდინარე აქტივები}) / (\text{მიმდინარე ვალდებულებები})$$

მომგებიანობის კოეფიციენტი გაუმჯობესებულია წინა წელთან შედარებით. ქვემოთ მოცემულ ცხრილზე მოცემულია მთლიანი მარჟის, კაპიტალის უკუგებისა და მთლიანი აქტივების უკუგების კოეფიციენტების მდგომარეობა.

	2025	2024
მთლიანი მარჟა (გადაზღვევის გათვალისწინებით)	7%	19%
უკუგება აქტივებზე	-13%	24%
უკუგება კაპიტალზე	-29%	39%


$$\text{მთლიანი მარჟა} = \frac{\text{სადაზღვევო მომსახურებიდან მიღებული შედეგი}}{\text{სადაზღვევო ამონაგები}}$$

უკუგება კაპიტალზე =  $\frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{კაპიტალი}}$  გვიჩვენებს რამდენი პროცენტია უკუგება ინვესტირებულ კაპიტალზე.

უკუგება მთლიან აქტივებზე =  $\frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{მთლიანი აქტივები}}$  გვიჩვენებს უკუგებას მთლიან აქტივებზე.

აღნიშნული კოეფიციენტი შემცირდა გასულ წელთან შედარებით, რაც ძირითადად განაპირობა უარყოფითმა საოპერაციო შედეგმა მათ შორის წაგებიანი ხელშეკრულების ანარიცხვის აღიარებამ.

ცხრილი გვიჩვენებს 2025 წლის ამონაგებს სადაზღვევო პროდუქტების მიხედვით გარდა სავალდებულო დაზღვევის ცენტრიდან მიღებული ამონაგებისა:



## **ძირითადი რისკები და გაურკვევლობები**

### **სადაზღვევო და საოპერაციო რისკები**

ჯგუფის საქმიანობას წარმოადგენს სადაზღვევო საქმიანობა, სადაზღვევო პროდუქტები შეიცავს რისკებს. ჯგუფის ანდერაიტერი განსაზღვრავს თუ რომელი სახეობა შეიცავს რისკის დიდ ალბათობას და ახდენს ამ რისკების გადაზღვევას საერთაშორისო ბაზარზე მოქმედ გადამზღვეველ კომპანიებთან. ჯგუფს გადაზღვეული აქვს დაზღვევის ყველა არსებითი სახეობა გარდა ჯანმრთელობისა და სავალდებულო დაზღვევის ცენტრის საშუალებით მოზიდული პოლისებისა. ცალკეულ გადაზღვეულ სახეობებში არსებობს გამონაკლისი რისკები, რომლებიც არ არის გადაზღვეული.

სადაზღვევო სფერო, როგორც ფინანსური ინსტიტუტი, ბაზარზე მკაცრად კონტროლირებადი სფეროა, ამიტომ, სახელმწიფო თავად ახდენს მის წინაშე არსებული რისკების კონტროლს სხვადასხვა რეგულირებებით, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს რისკებს. ასევე, კომპანიას შექმნილი აქვს სავალდებულო რეზერვი დაზღვევის სახელმწიფო სამსახურის ბრძანების შესაბამისად და გადანაწილებული აქვს ის საქართველოს მასშტაბით მოქმედ სხვადასხვა ბანკში.

გარდა სადაზღვევო რისკებისა, ჯგუფის წინაშე დგას სხვა საოპერაციო რისკებიც, როგორებიცაა:

1. თანამშრომლების მხრიდან თაღლითობა;
2. თანამშრომლების მიერ მონაცემების არასწორად შევსება;
3. თაღლითობა კლიენტისა და პროვაიდერის მხრიდან;
4. ბუღალტრული შეცდომები
5. კიბერ შეტევის რისკი;
6. არასრულყოფილი პროგრამული უზრუნველყოფა;
7. სტიქიური უბედურება.

საოპერაციო რისკების თავიდან ასაცილებლად ჯგუფი მიმართავს სხვადასხვა ღონისძიებებს.

1. თანამშრომლების მხრიდან თაღლითობის რისკის შესამცირებლად ჯგუფს რისკის შემცველი საქმიანობები დაყოფილი და გადანაწილებული აქვს სხვადასხვა თანამშრომელზე, რომლებიც დამოუკიდებლად განიხილავენ საკითხს, ადასტურებენ და აავტორიზებენ მას პროგრამულად. გარდა ამისა, ჯგუფს ჰყავს შიდა აუდიტის სამსახური, რომლის საქმიანობაც, ფინანსური ინფორმაციის კონტროლთან ერთად მოიცავს ჯგუფში მიმდინარე პროცესების აუდიტსაც.

2. თანამშრომლების მიერ მონაცემების არასწორად შევსება საბოლოო ჯამში დიდ გავლენას ახდენს ფინანსური ანგარიშგებების სისწორეზე. აღნიშნული რისკის შესამცირებლად, პროგრამისტების მიერ პროგრამაში ჩაშენებულია ვალიდაციები, რომლებიც ამცირებს მექანიკური შეცდომების რისკს, გარდა ამისა, საოპერაციო განყოფილების მიერ ასახულ ინფორმაციას პროგრამაში ჩაშენებული რეპორტების დახმარებით ამოწმებენ ამ ინფორმაციის მომხმარებლები, ანუ სხვადასხვა დეპარტამენტის თანამშრომლები. დამატებით, ჯგუფის ფინანსური სამსახური ყოველთვიურად აანალიზებს მიღებული შედეგების ლოგიკურობას.

3. კლიენტების მხრიდან თაღლითობა პოლისის დარეგისტრირების პროცესში შედარებით მაღალი ალბათობით შესაძლოა დადგეს ავტო დაზღვევის სახეობაში. ამის თავიდან ასაცილებლად თითოეული დაზღვევის ობიექტი დაზღვევამდე სურათდება და იტვირთება პროგრამაში. პროცესი კონტროლდება სპეციალური მონიტორინგის სამსახურის მიერ. ასევე, დარეგულირებამდე თითოეული ზარალი რამდენიმე საფეხურს გადის და თითოეული დოკუმენტი მოწმდება სხვადასხვა თანამშრომლის მიერ. რაც შეეხება პროვაიდერების მხრიდან თაღლითობას, ჯგუფს პროვაიდერთან დადებული ხელშეკრულებების მიხედვით უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეამოწმოს სწორია თუ არა მის მიერ მოწოდებული ანგარიში. ჯგუფში არსებობს ცალკე ექსპერტიზის სამსახური, რომელიც სპეციალურად ამისთვის არის შექმნილი და პერიოდულად უშუალოდ ადგილზე გასვლით ამოწმებს სხვადასხვა პროვაიდერის მიერ მოწოდებულ ანგარიშს და საჭიროების შემთხვევაში აკორექტირებს თანხას.

4. ბუღალტრული შეცდომები ყოველი ბიზნესის თანმდევი მოვლენაა. ამ რისკის შესამცირებლად ჯგუფს ჰყავს შიდა აუდიტის სამსახური, რომელიც ყოველთვიურად ამოწმებს და ადასტურებს ანგარიშგებებს. ასევე თავად ბუღალტერიისა და ფინანსური განყოფილების მხრიდან ყოველი თვის ბოლოს მიმდინარეობს საბუღალტრო და სადაზღვევო პროგრამის შესადარი მონაცემების ძირეული დამუშავება.

**კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება**

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

5. კიბერ შეტევებთან დაკავშირებული რისკები, გლობალურ ციფრულ ტექნოლოგიებზე გადასვლასთან ერთად იზრდება და წარმოადგენს ყველაზე სერიოზულ საოპერაციო საშიშროებას, რომელიც ფინანსურ სისტემას ემუქრება. მონაცემთა ბაზის დაუცველობამ შესაძლოა მნიშვნელოვნად აზარალოს ჯგუფი. კიბერ შეტევის რისკი ჯგუფს უდგას როგორც შიდა, ასევე გარე დონეზე. შიდა დონეზე, ანუ თანამშრომლების მხრიდან მონაცემთა ბაზის ბოროტად გამოყენების რისკს მნიშვნელოვნად ამცირებს სპეციალური სადაზღვევო პროგრამა, რომელსაც იყენებს ჯგუფი. პროგრამა ითვალისწინებს მონაცემებზე წვდომის გარკვეულ შეზღუდვებს სხვადასხვა დეპარტამენტების მხრიდან. ასევე ჯგუფიდან მონაცემების გატანის შესაზღუდად აიტი სამსახურს დაყენებული აქვს გარკვეული შეზღუდვები მეილების სისტემაზე. რაც შეეხება გარედან განხორციელებული კიბერ შეტევის რისკის შესამცირებლად ჯგუფის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური იყენებს სხვადასხვა პროგრამულ კიბერუსაფრთხოების მექანიზმებს.

6. სადაზღვევო სფეროში გამართული პროგრამის არსებობა ჯგუფის ფუნქციონირებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, აქედან გამომდინარე პროგრამისტების მხრიდან ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს პროგრამის სისტემის კონტროლი და გამოვლენილი ხარვეზების დროულად აღმოფხვრის პროცესი. ჯგუფს დაწყებული აქვს მუშაობა საოპერაციო პროგრამის ძირეულ განახლებაზე.

7. სტიქიური უბედურებებისაგან მიყენებული ზიანი ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ჯგუფისათვის, რადგან შესაძლებელია, რომ რომელიმე რეგიონში მომხდარმა სეტყვამ, ან წყალდიდობამ, ან ხანძარმა გამოიწვიოს იმ რეგიონში წარმოდგენილი ყველა დაზღვეულის მიერ ზარალის ერთდროული განცხადება და ჯგუფის რეზერვები ვერ გასწვდეს ზარალებს და გახდეს გადამხდელუუნარო. ეს რომ არ მოხდეს, ჯგუფი მიმართავს ორ გზას: 1). ახდენს ასეთი რისკის შემცველი სახეობებს გადაზღვევას დიდი პროცენტული წილით, 2) ცდილობს მოიცვას სხვადასხვა რეგიონები, რათა მოახდინოს სტიქიური უბედურებების შედეგად მიყენებული ზიანის რისკის შემცირება.

გარდა ზემო აღნიშნულისა, ჯგუფი ცდილობს დროულად დაადგინოს და მართოს ახალი პროდუქტისა და საქმიანობისათვის დამახასიათებელი საოპერაციო რისკი და უზრუნველყოს, რომ ნებისმიერი ახალი პროდუქტის და საქმიანობის რისკმა გაიაროს სათანადო კონტროლი მათი დანერგვის ან გამოყენების წინ.

**კომერციული რისკი**

გარდა საოპერაციო რისკებისა, თანამედროვე გლობალურ ბიზნეს გარემოში კომპანიების წინაშე საბაზრო რისკებიც წარმოიშვება. საბაზრო რისკებიდან მნიშვნელოვანია კონკურენტული რისკი. სადაზღვევო ბაზარი საქართველოში საკმაოდ კონკურენტუნარიანია და თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ნებისმიერ დროს შეიძლება ბაზარზე გაჩნდეს ახალი მოთამაშე, ჯგუფს შესაძლოა დაუდგეს შემოსავლების შემცირების რისკი. აღნიშნული რისკის შესამცირებლად ჯგუფი გეგმავს შექმნას და შეინარჩუნოს ლოიალური დამოკიდებულება კლიენტებთან და სხვადასხვა ინოვაციური პროდუქტების დანერგვით მოახერხოს კონკურენტუნარიანობის ამაღლება ბაზარზე. მნიშვნელოვანი გამოწვევა ასევე სწრაფი რეაგირება გარემოს ცვლილების პარალელურად.

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2026 წლის 16 აპრილს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

\_\_\_\_\_

დიმიტრი გონგლაძე

ფინანსური დირექტორი

\_\_\_\_\_

ნიკოლოზ ჯმუხაძე

სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“ ჯგუფი

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

5. კიბერ შეტევებთან დაკავშირებული რისკები, გლობალურ ციფრულ ტექნოლოგიებზე გადასვლასთან ერთად იზრდება და წარმოადგენს ყველაზე სერიოზულ საოპერაციო საშიშროებას, რომელიც ფინანსურ სისტემას ემუქრება. მონაცემთა ბაზის დაუცველობამ შესაძლოა მნიშვნელოვნად აზარალოს ჯგუფი. კიბერ შეტევის რისკი ჯგუფს უდგას როგორც შიდა, ასევე გარე დონეზე. შიდა დონეზე, ანუ თანამშრომლების მხრიდან მონაცემთა ბაზების ბოროტად გამოყენების რისკს მნიშვნელოვნად ამცირებს სპეციალური სადაზღვევო პროგრამა, რომელსაც იყენებს ჯგუფი. პროგრამა ითვალისწინებს მონაცემებზე წვდომის გარკვეულ შეზღუდვებს სხვადასხვა დეპარტამენტების მხრიდან. ასევე ჯგუფიდან მონაცემების გატანის შესაზღუდად აიტი სამსახურს დაყენებული აქვს გარკვეული შეზღუდვები მეილების სისტემაზე. რაც შეეხება გარედან განხორციელებული კიბერ შეტევის რისკის შესამცირებლად ჯგუფის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური იყენებს სხვადასხვა პროგრამულ კიბერუსაფრთხოების მექანიზმებს.

6. სადაზღვევო სფეროში გამართული პროგრამის არსებობა ჯგუფის ფუნქციონირებისთვის გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს, აქედან გამომდინარე პროგრამის ტიპის მხრიდან ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს პროგრამის სისტემის კონტროლი და გამოვლენილი ხარვეზების დროულად აღმოფხვრის პროცესი. ჯგუფს დაწყებული აქვს მუშაობა საოპერაციო პროგრამის ძირეულ განახლებაზე.

7. სტიქიური უბედურებებისაგან მიყენებული ზიანი ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ჯგუფისათვის, რადგან შესაძლებელია, რომ რომელიმე რეგიონში მომხდარმა სეტყვამ, ან წყალდიდობამ, ან ხანძარმა გამოიწვიოს იმ რეგიონში წარმოდგენილი ყველა დაზღვეულის მიერ ზარალის ერთდროული განცხადება და ჯგუფის რეზერვები ვერ გასწვდეს ზარალებს და გახდეს გადამხდელუუნარო. ეს რომ არ მოხდეს, ჯგუფი მიმართავს ორ გზას: 1). ახდენს ასეთი რისკის შემცველი სახეობებს გადაზღვევას დიდი პროცენტული წილით, 2) ცდილობს მოიცვას სხვადასხვა რეგიონები, რათა მოახდინოს სტიქიური უბედურებების შედეგად მიყენებული ზიანის რისკის შემცირება.


გარდა ზემო აღნიშნულისა, ჯგუფი ცდილობს დროულად დაადგინოს და მართოს ახალი პროდუქტისა და საქმიანობისათვის დამახასიათებელი საოპერაციო რისკი და უზრუნველყოს, რომ ნებისმიერი ახალი პროდუქტის და საქმიანობის რისკმა გაიაროს სათანადო კონტროლი მათი დანერგვის ან გამოყენების წინ.

კომერციული რისკი

გარდა საოპერაციო რისკებისა, თანამედროვე გლობალურ ბიზნეს გარემოში კომპანიების წინაშე საბაზრო რისკებიც წარმოიშვება. საბაზრო რისკებიდან მნიშვნელოვანია კონკურენტული რისკი. სადაზღვევო ბაზარი საქართველოში საკმაოდ კონკურენტუნარიანია და თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ნებისმიერ დროს შეიძლება ბაზარზე გაჩნდეს ახალი მოთამაშე, ჯგუფს შესაძლოა დაუდგეს შემოსავლების შემცირების რისკი. აღნიშნული რისკის შესამცირებლად ჯგუფი გეგმავს შექმნას და შეინარჩუნოს ლოიალური დამოკიდებულება კლიენტებთან და სხვადასხვა ინოვაციური პროდუქტების დანერგვით მოახერხოს კონკურენტუნარიანობის ამაღლება ბაზარზე. მნიშვნელოვანი გამოწვევაა ასევე სწრაფი რეაგირება გარემოს ცვლილების პარალელურად.

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2026 წლის 16 აპრილს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი



დიმიტრი გონგლაძე

ფინანსური დირექტორი



ნიკოლოზ ჯმუხაძე